გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მარიამ საური

ქართულ-რუსული კონფლიქტი ერთი მწერლის თვალსაწიერში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

გიორგი ხორბალაძე

ასოცირებული პროფესორი

გორი

2017 წ

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომში, ჩვენ მიერ, განხილულია ქართულ-რუსული კონფლიქტის ლიტერატურული რეფლექსია ერთი მწერლის შემოქმედებაზე დაყრნობით. მაგალითისთვის აღებული გვაქვს თანამედროვე ქართველი მწერლის გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები, რამდენადაც აღნიშნული მწერლის შემოქმედებაში საკმაოდ წარმომადგენლობითი ადგილი უკავია დასახელებული თემის ირგვლივ შექმნილ ნაწარმოებებს, მეტიც, მწერალს 2016 წელს გამოქვეყნებული აქვს მოთხრობების კრებული „გამორთული მთვარე", სადაც სწორედ ამ თემატური ნიშნით შერჩეული მოთხრობები აქვს შეტანილი. ამდენად, გიორგი სოსიაშვილის შემოქმედება საფუძველს იძლევა ქართულ-რუსული კონფლიქტის მრავალპლანიანი და მხატვრულ-დოკუმენტური ანალიზის გასაკეთებლად. ნაშრომის ფარგლებში მიმოვიხილავთ როგორც ზოგადად ქართულ-რუსული კონფლიქტის ასახვას ლიტერატურულ სივრცეში, ისე 2008 წლის მოვლენებისა და მის წინა და შემდგომი პერიოდის სურათს მწერლის შემოქმედებაში.

ჩვენ მიერ ხაზგასმულია, რომ ქართულ სალიტერატურო პროცესებში არაერთი მწერლის კალამი მისწვდა ამ ტკივილიან თემატიკას, თუმცა გიორგი სოსიაშვილის შერჩევა ვფიქრობთ, უდაოდ იყო ყველაზე უფრო მიზანშეწონილი, რამდენიმე მიზეზის გათვალისწინებით. პირველი - როგორც აღვნიშნეთ, იგი ყველაზე უფრო მოცულობითად ეხება ჩვენთვის საინტერესო პრობლემას; მეორე - გიორგი სოსიაშვილი კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფელში ცხოვრობს და ამდენად ლიტერატურაში გადმოტანილი არაერთი სიუჟეტის ან თვითმხილველი ან პირველწყაროდან შემტყობია; და მესამე - იგი ამავდროულად მკვლევარი ისტორიკოსია, რომელიც, როგორც მისივე შემოქმედებიდანაც ნათლად იკვეთება, ვერ მოახდენდა მკვეთრ დისტანცირებას ფაქტებისაგან.

მიგვაჩნია, რომ ლიტერატურა, როგორც საზოგადოებრივი ყოფიერების ერთგვარი სარკე, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და შეასრულებს სამომავლოდაც ყველა მნიშვნელოვანი და მასშტაბური პრობლემის სწორ ანალიზსა და შესაბამისად სწორი გადაჭრის გზების დასახვაში. ამიტომ ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შერჩეული თემა აქტუალურია და მნიშვნელოვანი.

Annotation

In the present MasterThesis we discuss the literary reflection of the Georgia- Russian conflict on basing of one writer's creativity. As an example, we take the stories of modern writer George Sosiashvili, as far as his creative work is quite representative of the events mentioned in this thesis, moreover, in 2016 the writer published a collection of short stories "Disconnected Moon", which includes the stories chosen by this thematic sign. Thus, the work of George Sosiashvili gives grounds for multidemensional and artistic-documentary analysis of the Georgia-Russian conflict. In the framework of this thesis we review the Georgia – Russian conflict in literary space as well as the events of 2008 and previous and further period in the writer's work.

We highlight that in many Georgian literary processes lot of writers have reached this painful theme but we think choosing George Sosiashvili is undoubtedly the most appropriate for several reasons. Firstly – as we mentioned he touches the most important problem for us abundantly clear. Secondly – George Sosiashvii lives in the village adjacent to the conflict zone and has so many stories by being eyewitness and also from local witnesses. And thirdly –he is a historian researcher at the same time who cannot distract from the facts. His creation clearly shows that thing.

We believe that literature as a mirror of public existence, played an important role and will carry out the correct analysis of all important and scale problems and in the way of correct solution in the future. So we think the theme we selected is relevant and important.

სარჩევი

შესავალი.....5
თავი I. საკითხის შესწავლის ისტორიიდან.....8
თავი II. ომი, როგორც მოვლენა მწერლის შემოქმედებაში 20
თავი III. ადამიანი და მისი სულიერი მდგომარეობა ომის პირობებში.....34
თავი IV. ომის შემდგომი ვითარების სურათი კონფლიქტურ რეგიონებში.....47
დასკვნა 57
გამოყენებული ლიტერატურა:.....60

შესავალი

ომი მოვლენაა, რომელიც ცვლის ისტორიას, ერების ცხოვრებას, სახელმწიფოთა საზღვრებს, ყველაფერს თავის დაღს ასვამს, რასაც შეეხება.აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ომის თემა ლიტერატურაში ყოველთვის იყო განსაკუთრებული აქტუალობით გამორჩეული.

უკვე არაერთი წელია ქართულ რეალობაში არსებობს ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური პრობლემები, რომლებიც კიდევ უფრო ჩრდილოეთიდან იღებს სათავეს. მრავალ განსაცდელგამოვლილ ჩვენს სამშობლოსXXI საუკუნემაც უკვე შესთავაზა მძიმე დღეები. 2008 წლის აგვისტოში მომხდარმა ომმა დიდი ტკივილი მიაყენა საქართველოსა და ქართველ ერს, შეცვალა კონკრეტული ადამიანების ცხოვრება და ისტორია, დავკარგეთ ომის არაერთიმონაწილე თუ მშვიდობიანი მოქალაქე და ამასთან ერთად ძირძველი ქართული მხარეები, რომლებიც კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით განუყოფელია ჩვენი ტერიტორიისაგან.

მეოცე საუკუნის მიწურულს განვითარებული მოვლენები მყისიერად აისახა ქართულ ლიტერატურაში, თუმცა შემდგომში, ბუნებრივია, სხვა თემებმა გადაფარეს ლიტერატურული არეალი, ხოლო 2008 წლის აგვისტოს მოვლენები იქცა ერთგვარ ახალ ტალღად ლიტერატურაში და ქართულ-რუსული კონფლიქტი ახალი რაკურსებით გაჩნდა ამა თუ იმ ავტორთან. 2008 წლის აგვისტოს ომზე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა. პატარა საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა. „დიდი მურა დათვის“ აგრესია მცირერიცხოვანი ერის წინააღმდეგ არაერთი სჯარო გაკიცხვისა და განხილვის საგანი გახდა საერთაშორისო მასშტაბით.

აგვისტოს ომის შესახებ დაიწერა მოთხრობები, რომანები, ნოველები, მათ შორის კი, ჩვენი აზრით, უთუოდ გამოირჩევა თანამედროვე ქართველი მწერლის გიორგი სოსიაშვილის შემოქმედება, რომელიც თემატურად ძალიან ხშირად შლის ნაწარმოებში ომის პრობლემებს და შთამბეჭდავ მხატვრულ ტილოებს ქმნის ომის ტრაგიზმის სრულყოფილად აღსაქმელად. უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი სოსიაშვილის სხვადასხვა დროს გამოცემულ მოთხრობათა კრებულებისათვის ეს თემა უცხო თითქმის არასდროს არის, თუმცა, განსაკუთრებით არის აღსანიშნავი ერთი კონკრეტული კრებული „გამორთული მთვარე“, რომელშიც სწორედ თემატურად არის თავმოყრილი არაერთი

ფრიად შთამბეჭდავი ნაწარმოები. კრებული 2016 წელს გამოიცა. იგი დიდინტერეს იწვევს იმდენად, რამდენადაც, ავტორი გახლავთ კონფლიქტის ზონის მკვიდრი და თავად არის თვითმხილველი 2008 წლის ზაფხულში მომხდარი ტრაგიკული მოვლენებისა. მოთხრობებში მკითხველი თითქოს რეალური ფაქტების წინაშე დგება და მის თვალსაწიერში ცოცხლდება მარიამობის თვის ცხელი დღეების სისხლ-ცრემლიანი სურათები. „ამ წიგნში შესული მოთხრობები ერთ რკალს ქმნიან და ეს რკალი მავთულხლართებით არის მოხაზული... ეს ის ბედნიერი შემხვევაა, როცა ნამდვილი ამბები ორიგინალურ სახე-სიმბოლოებად გარდაიქმნებიან და ახალი მხატვრული დაბადების მოწმენი ვხდებით“ (იოსებ ჭუმბურიძე, 2016: 3). დასახელებულ წიგნში, როგორც აღვნიშნეთ, ის მოთხრობებია შეტანილი, რომლებიც მწერლის შემოქმედებაში ქართულ-რუსული კონფლიქტისა და საომარი ვითარებების თემას შეეხება, თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ როგორც კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რამდენიმე მოთხრობა („მარანი“, „ტყვეები“, „იოანე“, „შიშველი ჯარისკაცები“, „იავნანა მკვდარ ქალაქში“, „ალიონი აფხაზეთის ცაზე“) სრულიად შემთხვევით არის გამორჩენილი კრებულში, რადგან მის მიღმა დარჩენილი ეს მოთხრობები მართლა საუკეთესო ნაწარმოებებს წარმოადგენენ და, შესაბამისად, ეს ფაქტი გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ თავისუფლად არის შესაძლებელი აღნიშნული თემატური გაერთიანებით,უახლოეს ხანაში, კიდევ ერთი კრებული გამოჩნდეს მკითხველის წინაშე გიორგი სოსიაშვილის ავტორობით. ჩვენს კვლევაში, გამომდინარე იქიდან, რომ გვსურს გამოვკვეთოთ საკვლევი საკითხი ზოგადად მწერლის შემეოქმედებაში და არა - მხოლოდ მის ერთ კრებულში,შევეხებით იმთხზულებებსაც, რომლებიც ვერ მოხვდა „გამორთულ მთვარეში“, დაბეჭდილია სხვა წიგნებში და ნათლად ასახავს ქართულ-რუსული კონფლიქტით გამოწვეულ მძიმე შედეგებს.

იმისათვის, რომ რეალური მოვლენები მხატვრულად ასახოს მწერალმა, საკმარისია არა მხოლოდ ფაქტების საკუთრი თვალით ხილვა, არამედ მათი აღქმა, შეგრძნება და გათავისება. „ადამიანის ინდივიდუალობას და განუმეორებლობას არაფერი არ ახასიათებს ისე აშკარად, როგორც მისი გრძნობები“(ქიქოძე, 1985:38) ამბობს გერონტი ქიქოძე. ყოველი ადამიანის პიროვნება მის ქმედებებში რეალიზდება, ხოლო ნამოქმედარში სწორედ მისი სულის მოძრაობა იკითხება. გიორგი სოსიაშვილის მოთრობები სავსეა ნამდვილი

შეგრძნებებით. მართალია ომმა მის თავზე გადაიარა, მაგრამ იგი იმდენად ახერხებს ნატანჯი ხალხის ტკივილის გულთან მიტანასა და გათავისებას, შემდეგ კი მკითხველისთვის მძლავრი ექსპრესიულობით გადაცემას, რომ ამისათვის მხოლოდ ფაქტების ხილვა არ იკმარებდა.მწერალი ცხოვლად გრძნობს არა მხოლოდ მშობლიური სამკვიდროს გარეშე დარჩენილი ადამიანების საწუხარს, არამედ - იმ დედის ვარამს, მწარე ტკივილიან განცდებს, რომელსაც ომმა შვილი წაართვა, იმ პატარა გოგონას გულისტკივილს, რომელმაც მშობლები და მათთან ერთად ბავშვობაც დაკარგა, ქართველი მებრძოლების სულისკვეთებას საომარ ვითარებაში, გმირობის გმომჟღავნებისა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, შვილდკარგული ბერიკაცის ნაღველს რომელიც ამაოდ დაეძებს თავის პირმშოს ხან ცოცხლებში, ხანაც გარდაცვლილებში; მწერალი გარდაცვლილ უცნობ ჯარისკაცსაც ათქმევინებს სათქმელს საფლავიდან, საკუთარ მამულში შრომასა და ფუსფუსს მონატრებული გლეხკაცის ტრაგედიასაც გამოიტანს სამზეოზე და ერთგული ოთხფეხა მეგობრის დარდებსაც კი კითხულობს მის სევდიან თვალებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გიორგი სოსიაშვილის შემოქმედება უთუოდ არის მდიდარი მასალა ლიტერატურის მკვლევართთვის და სწორედ ამ მასალის ერთი კონკრეტული პრობლემის წინა პლანზე წამოწევას შევეცდებით წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში.

თავი I. საკითხის შესწავლის ისტორიიდან

მიგვაჩნია, რომ ლიტერატურა, მათ შორის ფანტასტიკური ჟანრიც კი, ამა თუ იმ ფორმით საზოგადოების კონკრეტულ რეალობას, მისგანწყობებსა და ინტერესებს გამოხატავს, ხოლო ჩვენი კვლევის ფარგლებში განხილული ნაწარმოებებიხშირად დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით შექმნილი მხატვრული ტილოებია, რომლებსაც გიორგი სოსიაშვილი სთავაზობს მკითხველს. ისინი სწორედ საზოგადოების შინაგანი განწყობისა და კონფლიქტის ზონაში განვითარებული მოვლენების მხატვრული გამოძახილია. ეს ყოველივე კი, ჩვენი აზრით, სწორედაც, რომ სკრუპულოზური შესწავლის საგანი უნდა იყოს, რათა სწორი შეფასებისა და პრობლემის გადაჭრის მართებული გზების ძიებისგან კურსი არ აგვიცდეს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მსგავსი თემების კვლევითხელიშეეწყოს ამ ტიპის ლიტერატურის მეტ პოპულარიზაციას და შესაბამისად, ჩვენი, ქართული ტკივილის ადეკვატურ წარმოჩენას მსოფლიო ხალხთა შორის.

ვიდრე გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების ვრცლად განვიხილვას შევუდგებოდეთ, მანამდეხაზს ვუსვამთ, რომ ქართულ ლიტერატურაში არაერთი ავტორი შეეხო ქართულ-რუსული კონფლიქტის მხატვრულ ლიტერატურაში განვრცობას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე კრიტიკა, ყველაზე აქტიურად, ამ თემატიკასთან კავშირში სწორედ გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებებს გამოარჩევს, რადგან, ჩვენი აზრითაც, ყველაზე უფრო მრავალფეროვნად და ორგანულად ეს საკითხი სწორედ ამ მწერლის მოთხრობებშია წარმოდგენილი;მიუხედავად იმისა, რომ, როგორც აღვნიშნეთ, სხვა არაერთი თანამედროვე მწერალი შეეხო 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს საკუთარი „შემოქმედების წიაღში“ (თამრი ფხაკაძე, დავით ქართველიშვილი, ვანო ჩხიკვაძე და ა.შ.). ლიტერატურული კრიტიკა გაცილებით აქტიურია გიორგი სოსიაშვილის მოთხრობებთან მიმართებაში, რამდენადაც მის შემოქმედებაში განფენილი ომის თემატიკა მრავალპლანიანია და საშუალებას იძლევა სრულყოფილი მასშტაბით აღიქვას მკითხველმა მოვლენათა სრული სურათი. ასევე, ჩვენი აზრით, არ შეიძლება აღნიშვნის გარეშე დავტოვოთ ის ფაქტი, რომ ამავე თემატური გაერთიანებით, პოლონურ ენაზეც ითარგმნა გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები და 2016 წელს გამოიცა პოლონეთში სათაურით - ,,ქართული მოთხრობები მავთულხლართებში”, რაც მწერლის მნიშვნელოვანი აღიარებაა და იმის მანიშნებელი, რომ ჩვენს მიერ კვლევისთვის შერჩეული თემა უდაოდ არის

პრობლემატური და საინტერესო, თანაც არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით. აღნიშნულ მოსაზრებას, ასევე, დამატებით განამტკიცებს თურქულად თარგმნილი და 2017 წლის მარტში თურქეთში გამოცემული გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების კრებულიც სათაურით - ,,მარტოსულთა ზამთარი"

საკითხის შესწავლის ისტორიის გამოსაკვეთად მოკლედ მიმოვიხილავთ იმ გამოხმაურებებს, რომლებიც გიორგი სოსიაშვილის მიერ ომის თემაზე შექმნილ მოთხრობებს მოჰყვა ლიტერატურულ კრიტიკაში.

წიგნი „გამორთული მთვარე" იოსებ ჭუმბურიძის რედაქციით დაიბეჭდა. რედაქტორი მასში შესულ ნაწარმოებებს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მხატვრულ მატიანედ მოიხესნიებს და წიგნის განსაკუთრებულ ღირსებად ტექსტების მაღლმხატვრულობას მიიჩნევს. ტრაგიკულ ამბებს შორის ოპტიმიზმით სავსე ეპიზოდებია წარმოდგენილი. მხატვრულად ასახვის მრავალფეროვანი ხერხებით, რეალობისა და მისტიკის შეზავებით, მწერალი ქმნის შესანიშნავ რეალისტურ სურათებს. კრიტიკოსი ყურადღებას ამახვილებს მწერლის მიერ აღნიშნულ ნაწარმოებთა დაწერის მიზანზე - რომ „მის სამშობლოში მთვარისა და ლამპიონების გამორთვა ვეღარავინ შეძლოს" (იოსებ ჭუმბურიძე, 2016: 4). იოსებ ჭუმბურიძის აზრით, ლიტერატურასა და ხელოვნებას შესწევს ძალა მოძმე ხალხებს - ქართველებსა და ოსებს, ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის დათბობაში კეთილისმყოფელი გავლენა იქონიოს, ამიტომაც სურს, რომ გიორგი სოსიაშვილის ომის თემატიკაზე შექმნილი მოთხრობები ითარგმნოს ოსურ, აფხაზურ, რუსულ, ინგლისურ ენებზე, დაიდგას სპექტაკლები და გადაღებულ იქნას ფილმები. მისივე შეფასებით, აღნიშნული მოთხრობებს ქართველი, ოსი და აფხაზი ადრესატები ჰყავს, რათა სამივე ერმა დაიბრუნოს დანაკარგი ბედნიერება და მშვიდობა, რათა მავთულხლართებიდან აფხაზი გოგონაც გამოძვრეს ქართველ სატრფოსთან შესაყრელად და მთვარის გამორთვაც ვეღარავინ ვერასოდეს გაბედოს.

გიორგი სოსიაშვილის ორი მოთხრობის - „ბაღები" და „მძახლები"- შესახებ ვრცელი მიმოხილვა ეკუთვნის გიორგი ხორბალაძეს სათაურით - „მავთულხლართის ორი მხარე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში", რომელიც დაიბეჭდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალ„გულანის" 2015 წლის მეჩვიდმეტე ნომერში,მწერლის შემოქმედებაში ფართო ადგილი უკავია ომის თემატიკას, თუმცა,

მიმოხილვის ავტორის აზრით, პროზაიკოსი ამ ტრაგიზმით სავსე ამბებში სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობათა წამოწევას, მათი სასწაულმოქმედი ძალის წარმოჩენას ცდილობს. აქ მთავარი ალალ-მართალი ხალხის გულწრფელი განცდებია. თხზულებებში ასახულია არაერთი რეალური ეპიზოდი, ამიტამაცაა ისინი ასეთი ნამდვილი და დამაჯერებელი. გიორგი ხორბალაძე ხაზს უსვამს მოთხრობათა მაღალმხატვრულ ღირებულებას, რაც სათანადოდ შესაფასებელი და დასაფასებელია დღესდღეობით, იმდენად, რამდენადაც თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ასეთები დიდი იშვიათობაა. გაუგებარი ენითა და გაურკვეველი მიზნებით შექმნილ თანამედროვე ქართულ ტექსტებს შორის გიორგი სოსიაშვილის პროზაული ნაწარმოებები თვალსაჩინოდ მნიშვნელოვანი და გამორჩეულია. მის შემოქმედებას მსჭვალავს სამშობლოს ბედ-იღბალი, საქართველოს წარსულის, აწმყოსი და მომავლის საწუხარი. მწერალი პროფესიონალურად ასახავს ისტორიულსა და ყოფით რეალობას.

მწერლის შემოქმედებას გიორგი ხორბალაძე კიდევ ერთ ნაშრომში შეეხო, რომელიც შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი საერთაშორისო კონფერენციის კრებულშია შესული.ნაშრომის სათაურია „ადამიანური განცდები ომისა და ოკუპაციის პირობებში, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ერთიან კონტექსტში გააზრებით“. მასში ავტორი გამოკვეთს მწერლის მიერ ადამიანთა სულიერი სამყაროს ღრმა წვდომის უნარს და მიმოიხილავს მოთხრობის „ორმოცი წამი“ ომის შედეგად მშოლიურ მიწას მოწყვეტილ პერსონაჟთა სულიერ განცდებს ოკუპაციის პირობებში. ისეთი მასშტაბური მოვლენა, როგორიცაა ომი, ყველა მახასიათბელთნ ერთად ერთი ნიშნითაც ხასიათდება, რაც ადამიანთა პიროვნულ-ზნეობრივ წარმოჩენას გულისხმობს. მოთხრობის გმირები შესაძლოა ომამდე თავიანთი სოფლის მიწისთვის კიდევაც წასჩხუბებიან ერთმანეთს, ახლა კი ტირილამდე მონატრებულ სამკვიდრო მიწას იპარავენ გარდაცვლილი მეგობრის უკანასკნელი სურვილის შესასრულებლად და ამ ქმედებით თავიანთ წადილსაც იკმაყოფილებენ - კიდევ ერთხელ შეეხონ მშობლიურ მიწას, ერთხელაც დადგან ფეხი იქ, სადაც მთელი ცხოვრება გაუტარებიათ. მათი გარდაცვლილი მეგობრის სულისათვის კი ოკუპაცია აღარაა ხელისშემშლელი მოიხილოს მშობლიური სოფელი. იგი გადაწყვეტს მიღმიერ სამყაროში მარადიულ გადასვლამდე ორმოცი დღე სამკვიდრო მიწაზე ყოფნით გაიბედნიეროს.

რომსტომ ჩხეიძე, რომლის რეცენზიაც, გიორგი სოსიაშვილის წიგნში „მვთულხლართი“, 2015 წელსაა გამოქვეყნებული სათურით „მიწის სურნელი - თხრობის სარჩულად“, იხსენებს ქართულ სინამდვილეს, რომელშიც, თითქოს, გამოკრთოდა აგვისტოს ტრაგედიის მომსაწავებელი წინათგრძნობა. მისი შეფასებით, მავთულხლართის თემა აქტუალურია ასევე ოთარ ჩხეიძისთვისაც და გარკვეულ პარალელებს შენიშნავს გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებებსა და ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში. როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს, რომ გიორგი სოსიაშვილისთვის მშობლიური სოფლიდან - დიციდან - იწყება სამშობლო, ისევე, როგორც ოთარ ჩხეიძისთვის - ყელქცეულიდან. ორივე ქართლის წარმომადგენელია და მათ გულებზე გადის მტრის მიერ გავლებული სამანი. „მწერლური ხელოვნებაა განსხვავებული, თორემ საფიქრალი და საწუხარი - ერთია“ (ჩხეიძე, 2015: 4). რეცენზიის ავტორის აზრით, ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ ლირიზმით, დრამატიზმითა და იუმორით მწერალი მკითხველს შთმბეჭდავად გადასცემს სათქმელს. მისეულ თხრობაში ვერსად შევხვდებით მხატვრული აზროვნებისათვის ხშირად დამახასიათებელ პუბლიცისტურობას. როსტომ ჩხეიძე, იოსებ ჭუმბურიძის მსგავსად, სცენაზე გასაცოცხლებელ სურათებად მოიაზრებს გიორგი სოსიაშვილის მოთხრობებს, სხვა შემთხვევაში კი ფიქრობს, რომ მწერალი თავად მოსინჯავს ძალებს დრამატურგიაში.

როსტომ ჩხეიძე ასევე ხაზს უსვამს მიწის მძაფრ შეგრძნებას გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში, რომელიც მომდინარეობს მწერლის შინაგანი სამყაროდან და რომელიც მკითხველს ბუნების ცხოვლმყოფელობას განაცდევინებს. მამის სახე შეგვახსენებს ფესვების, ტრადიციების, სიცოცხლის დაუსაბამობასა და უსასრულობას.

„მწერლის გაზეთის“ 2016 წლის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა სოსო სიგუას რეცენზია სათაურით „ჩვენი ცხოვრების სურათები“, სადაც განხილულია რამდენიმე ნაწარმოების („საძირეები“, „ელიზბარი“, „ჩვიდმეტნი“, „ნატყვიარი“, „ამირანის ზედაშე“, „ლომა, თაზო და ერთ დროს უთვისტომო რექსი“, „აღსარება მტრის საფლავთნ“, „მთვლემარე წლები“, „თედო“ და სხვ.) მაგალითზე გიორგი სოსიაშვილის მწერლური ციკლი, აქცენტირებულია მწერლის მიერ დახატულ ადამიანთა ქცევები ომის პირობებში, შიშისა და უნდობლობის, გმირობისა და სიმამაცის მწერლისეული აღქმა. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული აბსტრაქტული ხედვისა და ზოგადეროვნული პრობლემების უგულებელყოფის საპირისპიროდ, სოსო სიგუა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში

ხედავს რეალობის ასახვას და ქართულ-ოსური კონფლიქტის მტკივნეულ განცდას. მწერალი უბრალო ხალხის მეშვეობით, დიალოგებით, მრავალფეროვანი ეპიზოდებით ქმნის შესანიშნავ რეალისტურ სურათებს. სოსო სიგუას აზრით, მწერალი ხაზს უსვამს ქართულ-ოსური კონფლიქტის უკან მდგარ რეალურ აგრესორს - რუსეთს და ქართველებშიც ხედავს ამ პრობლემის მიზეზებს, კერძოდ - შიდა დაპირისპირება, ეროვნული მთავრობის დამხობა;„ცხინვალის კატასტროფა თბილისის ტრაგედიის გაგრძელება და ლოგიკური დასასრულია“ (ს.სიგუა). დრამატული სიუჟეტები, მომხიბლავი პეიზაჟები, ზომიერი დიალექტური ფორმები, ტოპონიმები, ეპიკური თხრობა - ეს ის მახასიათებლებია, რომლებიც გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებებს სძენს განსაკუთრებულ კოლორიტს. შემოქმედი, როგორც ისტორიკოსი, წარმოაჩენს თნამედროვე პრობლემებს და ცდილობს მათი წარმომშობი მიზეზების გარკვევას და მკითხველს აძლევს ისტორიული ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას.

„მწერლის გაზეთის“ 2017 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილია მურმან თავდიშვილის რეცენზია „ომის მოთხრობები“, სადაც მისი ავტორი ხაზს უსვამს კრებულ „გამორთული მთვარის“ მძიმე თემატიკის მიუხედავად წიგნში გამოვლენილ იმედიან განწყობილებას, რომელსაც ავტორი „კონკრეტული და ახალი მხატვრული სინამდვილის შექმნით გვიდასტურებს“.ცალკეული პოეტური სახეები, მეტაფორული გამოთქმები, საინტერესო შედარებები მწერლის რეალისტურ ნარატივს ფერადოვნებას ანიჭებს. ქართულ მწერლობაში სადღეისოდ მომრავლებულმშობლიური ენისარასათნადოდ მცოდნეთა საპირისპიროდ, გიორგი სოსიაშვილთან ჩანს „ღრმა ენობრივ ძიებათა კვალი, რაც მკითხველის თვალს ასვენებს, გულსა და გონებას კი სიამესა ჰგვრის“, - წერს რეცენზიის ავტორი. მისივე აზრით, მწერლის თხრობა შორსაა ყალბი პატრიოტიზმისგან. იგი დრამატული მოვლენებით ცდილობს სრულყოფილად წარმოაჩინოს აგვისტოს ტრაგედია. კრიტიკოსი გამოკვეთს მწერლის უნარს, სიტყვას ათქმევინოს იმაზე მეტი, ვიდრე ერთი თვალის გადავლებით იკითხება. მკვლევარისთვის განსაკუთრებული პასაჟია სამკვიდროსმოწყვეტილი და დროებით სამყოფელში შეხიზნული ხალხის სულიერი მდგომარეობის ასახვა. ისინი თითქოს ტოვებენ თავიანთ სხეულს და საკუთარ ნასახლარებს „საიქიოდან გამოპარული სულებივით დასტრიალებენ“. მ.თავდიშვილი ამ

მხატვრულ სახეს „წმ. აბო ტფილელის მარტვილობასთან“ აკავშირებს, სადაც „სხეულიდან ამგვარი ამოხტომა და განსვლა ჩვენს მწერლობაში პირველად დაფიქსირდა“.

თამარ გელიტაშვილი პუბლიცისტურ წერილში „მავთულხლართის პირისპირ“, რომელიც ჟურნალ „ცისკარის“ 2016 წლის მეხუთე ნომერშია გამოქვეყნებული, ვრცლად მიმოიხილავს გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებას, რომელსაც, კრიტიკოსის აზრით მსჭვალავს 2008 წლის აგვისტოს ომის ტკივილიანი განცდა. მკვლევარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მწერლის მხატვრულ პალიტრას, დატვირთულსამ ტრაგიკული მოვლენისათვის დამახასიათებელი ფერებით. თამარ გელიტაშვილის აზრით, პროზაიკოსი რეალურად აშუქებს იმ ადამიანთა ცხოვრებას, რომელთაც ომმა მძიმე პირობები შეუქმნა და რომლებიც არიან შეჭირვებულნი უმწეო ყოფით, უნუგეშობითა და მზრუნველობამოკლებულობით, დამცირებულნი საზოგადობისათვის დასანახად ბოძებული მიზერული ჰუმანიტარული დახმარებით და მავანთა პიარის საშუალებად ქცეულნი.

სტატიის ავტორი გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში ასევე გამოკვეთს მზის კონცეპტს, რომელიც ნაწარმოებებში თითქმის ყველგან ნატანჯი და გვემულია. ქრისტიანულ სახისმეტყველებაში მზე მიიჩნევა ქრისტეს ჰიპოსტასად. მკვლევარი ამჩნევს, რომ „მავთულხლართში“ წითელ პარასკევსაა მზე სისიხლისფერი, ნატანჯი ესვენება მიწისფერ მთებში, დიდ შაბათს კი არ ჩანს, ცის მიღმა რჩება, რომელსაც „ვეება ლოდივით გადაფარებოდა ღრუბელი“ (სოსიაშვილი, 2016: 285), აღდგომას კი სიცოცხლით სავსე ამოანათებს. კრიტიკოსის აზრით, ამ სიმბოლური სურათებით ავტორს სურს განაცხადოს, რომ მიუხედავად მოყენებული დიდი ზიანისა, მტერმა ვერ გაანადგურა ქართველებში მარად ანთებული უფლის რწმენა და სიყვარული.

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობათა ერთ-ერთ კრებულში, „მზის გადაღმა“, რომელიც 2012 წელს არის გამოქვეყნებული, შეტანილია ორი რეცენზია მწერლის მოთხრობებთან დაკავშირებით. მათგან ერთ-ერთი - „მტევნად შეკრული სიტყვების მადლი“ ეკუთვნის თამილა გოგოლაძესმეორე რეცენზია კი - „2008 წლის ომის თემა გიორგი სოსიაშვილის მოთხრობებში“ დაწერილია მარინე ცერვაძის მიერ. ასევე, მარინე ცერცვაძის აღნიშნული რეცენზია ვრცლად დაბეჭდილია მისსავე ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების კრებულში „ახალი ადამიანი“.

თამილა გოგოლაძე ხაზს უსვამს თანამედროვე მწერლის ლიტერატურულ მეტყველებას. შემოქმედი ტრაგიკულ ამბებს „სხივნათელი“, „მწყობრი“, „გულის სისხლით ნაკვები“ „ნაღდი ქართულით“ მოგვითხრობს. იგი საინტერესო პერსონაჟებით, სახასიათო მხატვრულისახეებით გვიხატავს XXI საუკუნის მოვლენებს და იუმორსა და სატირასაც მიმართავს. იგი რეალისტურად ასახავს კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები ხალხის მძიმე ხვედრს.

ასევე, თამილა გოგოლაძის სტატიაა დაბეჭდილი „მწერლის გაზეთის“ 2017 წლის მეხუთე ნომერში სათაურით „გიორგი სოსიაშვილის 2016 წლის უხვი ლიტერატურული მოსავალი“.პუბლიცისტური წერილის ავტორი მიმოიხილავს პროზაიკოსის შემოქმედებას და აქცენტს აკეთებს მის წიგნზე „წითელი უდაბნო“, რომელშიც გადმოცემულია საბჭოური ეპოქით გამოწვეული ქართულ-რუსული პრობლემების ასპექტები. კრიტიკოსი ხაზს უსვამს მწერლის მიერ რეალობის აღქმასა და ლიტერატურულად ასახვას და განსაკუთრებულად აღნიშნავს მისი წერის მაღალ მხატვრულ სტილს.

მარინე ცერცვაძე, ზემოთ დასახელებულ მის სტატიაში, პარალელს ავლებს მარგარეტ დიურასის პროზაულ ნაწარმობსა -„ნორჩი ინგლისელი მფრინავის სიკვდილი“ - და გიორგი სოსიაშვილის მოთხრობას - „ჩვიდმეტნი“ - შორის. მისი აზრით, ორივე მწერალი ომს აღიქვამს, როგორც ბოროტებას და ამიტომაც წერს ასეთი ტრაგიზმით იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც ომმა გამოასალმა წუთისოფელს. მარგარეტ დიურასის მთავრ პერსონაჟსაც და ჩვიდმეტ შინდისელ გმირსაც უყვარდათ ბავშვობაში ომობანას თამაში, სადაც არაერთხელ შეეძლოთ „მომკვდარიყვნენ“ და „გაცოცხლებულიყვნენ“, თუმცა სიჭაბუკეში ისინი რეალური ომის წინაში აღმოჩნდნენ, რომელმაც მხოლოდ ერთი სიცოცხლის უფლება არგუნა.

გიორგი სოსიაშვილის პროზაულ კრებულში „დროის საზომთა გარეშე“, რომელიც 2014 წელს გამოიცა, დაბეჭდლია რევაზ მიშველაძის სტატია „დინჯი, მოზომილი ნაბიჯებით. მწერლის შემოქმედება სიუჟეტის სიმძაფრით, კონკრეტული თხრობითა და „ლირიზმთან შენივთული ღრმა ფსიქოლოგიზმით“ (მიშველაძე 2014: 3) გახდა მკვლევარის ყურადღების საგანი. მისთვის სასიხარულოა მწერლის არჩევანი, ასახოს საქართველოს ძნელბედობით აღსავსე ისტორია ლიტერატურაში. მკვლევარი ვერ ხედავს მცირე სიყალბესაც პროზაიკოსის ნამდვილი ქართულით დაწერილ ნაწარმოებებში, რომლებიც

შესრულებულია გონივრული ზომიერებით, მაღალმხატვრულად, ნამდვილი პროფესიონალის ხელით. ჩამოყალიბებულია მკითხველისთვის საინტერესოდ და გემოვნებით. გიორგი სოსიაშვილის მიერ მდინარე ლიახვის პირზე შექმნილი პროზა, რევაზ მიშველაძის თვალსაზრისით, ქართული ლიტერატურის დიდმნიშვნელოვან ნაწილად დამკვიდრდება.

ასევე რევაზ მიშველაძემ „მწერლის გაზეთის“ 2016 წლის მეორე ნომერში გამოაქვეყნა პუბლიცისტური წერილი სათაურით „ახალი... ნამდვილი...“, რომელიც გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებას ეძღვნება და აღსანიშნავია, რომ ეს სტატიარევაზ მიშველაძემ შეიტანა საკუთარ ლიტერატურულ კრებულში „სჯანი კულტურასა და პოლიტიკაზე“, რომელიც ასევე 2016 წელს გამოქვეყნდა. აღნიშნული წერილი ძირითადად გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების ერთიკრებულის - „მავთულხლართის“ ირგვლივ არის კონცენტრირებული. პუბლიკაციაში კრიტიკოსი მწერალს მაღალ შეფასებას აძლევს და მიაჩნია, რომ ქართულ ლიტერატურულ სივრცეში გამოჩნდა პროზაიკოსი, რომელიც ორიგინალური სტილით ქმნის თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი აქტუალური თემატიკით გაჯერებულ ნაწარმოებებს. რევაზ მიშველაძის აზრით,ახალმა საუკუნემ ახალი ცხოვრება შექმნა, რომელსაც გიორგი სოსიაშვილი გულისყურით მისდევს და ლიტერატურად გარდაქმნის ქართველი ერის დღევანდელ ყოფაში არსებულ ძალზე მნიშვნელოვან მოვლენებს. მათ შორის დიდი ადგილი უკავია ქართულ-ოსური ურთიერთობების საკითხს. პროზაიკოსის მიერ დახატული ქართლი ჩვენს მწერლობაში არ ჰგავს სხვა რომელიმე ავტორისას. მისი პერსონაჟებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ყველა მათგანი ორიგინალურია, ინდივიდუალური. რევაზ მიშველაძე მწერლის იუმორსაც უსვამს ხაზს, რომელიც, მისი შეფასებით, ნამდვილი ქართლური, თბილი და სიყვარულით აღსავსეა. კრიტიკოსი გიორგი სოსიაშვილის მხატვრულ მეტყველებასაც განიხილავს და აღნიშნავს, რომ მისი ნაწარმოებები გამოირჩევა მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკური მარაგით.

გიორგი სოსიაშვილის პროზას მიმოიხილავს მურად მთვარელიძე პუბლიკაციაში - „გამორთული მთვარე“ ანუ „მთვარესაც ვეღარავინ გამორთავს“. აღნიშნული სტატია დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 2016 წლის 37-ე ნომერში. სტატიის ავტორი მიმოიხილავს მწერლის წიგნს „გამორთული მთვარე“ და აქცენტს აკეთებს

პროზაიკოსის მიერ ლიტერატურაში ასახულ 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენებზე. მისთვის ნიშანდობლივია, რომ მწერალი ცხოვრობს კონფლიქტის ზონის სოფელში და თავადაა თვითმხილველი წიგნში ასახული არაერთი მძიმე სურათისა. მკვლევარი მიიჩნევს, რომწიგნში არა მხოლოდ ტრაგიკული სურათებია ასახული, არამედ - ხვალინდელი დღის იმედი, რომ სამომავლოდ ქართველი ხალხი დაიბრუნებს თავის კულტურულ - ისტორიულ კუთვნილებას და აგრეთვე „ჩვენივე მიწაზე გაბატონებული და ჩვენთვის კვლავ მოძმედ დარჩენილი გზასამცდარი მეზობლების გულებს“.

2014 წელს გამართულ გორის უნივერსიტეტის მერვე საერთაშორისო კონფერენციის კრებულში დაბეჭდილია ნელი ჭამპურიძის სტატია „იდეოლოგიურ წნეხში მოქცეული სოფლის ცხოვრების მხატვრული გააზრება ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში“ გიორგი სოსიაშვილის მოთხრობებზე დაყრდნობით. სტატიის ავტორი მწერლის შემოქმედებაში ქართლის ისტორიული რეალობის სურათებს ხედავს. ნაწარმოების შესაქმნელად მწერალს გამოყენებული აქვს ისტორიული და წინაპრებისაგან მოსმენილი ნამდვილად მომხდარი ამბები. ავტორი სიღრმისეულად აღიქვამს ეპოქალურ პრობლემებს, რომლებმაც მძიმე შედეგები მოუტანა ქართველ ხალხს. როგორც სტატიის ავტორი შენიშნავს, მწერლისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია ქართული ეკლესიის მდგომარეობა, რომელიც გასაბჭოებამ მოიტანა. ნელი ჭამპურიძე გამოკვეთს მწერლის სათქმელს - ყოველ ადამიანს ცხოვრების საკუთარი გზა აქვს გასავლელი და თავისი წილი განსაცდელები გადასატანი, რათა დაინახოს, თუ რა დაითმინა ქრისტე მაცხოვარმა ადამიანთა მარადიული ტაანჯვისაგან გამოსახსნელად; ამიტომპროზაიკოსს სურს გააფრთხილოს მკითხველი, დააფიქროს წარსულზე და მიუთითოს ცხოვრების სწორი გზის არჩევაზე.

საკითხის კვლევის სრული პანორამის აღსადგენად აუცილებლად მიგვაჩნია გავიხსენოთ წიგნის „გამორთული მთვარე“ განხილვა, რომელიც 2016 წლის 22 ნოემბერს გაიმართა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. განხილვაზე საინტერესო მოხსენებები იქნა წაკითხული ლიტერატურის კრიტიკოსების მიერ. მოხსენებები წარმოადგინეს ბელა წიფურიამ, ეთერ თათარაიძემ, ნანა კუციამ, ნინო ვახანიამ და მარინე ტურავამ.

ბელა წიფურიასთვის ნიშანდობლივია ის ემოციური ზეგავლენა, რომელსაც გიორგი სოსიაშვილის ტექსტები ახდენს. მათში ასახული ტრაგიზმი გულწრფელი ემოციურობის მატარებელია და ბუნებრივი ეფექტით გათავისებადია მკითხველისათვის. აგვისტოს ომის ტრაგედია ხომ არა მხოლოდ კონფლიქტის ზონის მკვიდრთათვისაა „ტრავმატული“, არამედ - მის გარეთ მცხოვრები ქართველებისთვისაც. ბელა წიფურია იხსენებს სხვა მწერლებსაც, რომლებმაც 2008 წლის აგვისტოს მოვლენები ლიტერატურაში ასახეს და მიაჩნია, რომ მათი ტექსტები მნიშვნელოვანია ჩვენს მწერლობაში, გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებები კი კრიტიკოსისათვის განსაკუთრებულია, პირველ რიგში იმიტომ, რომ ავტორი ტრაგიკული მოვლენების უშუალო მონაწილეა, ხოლო XXI საუკუნეში ქართულ ლიტერატურაში მწერლის მიერ ლიტერატურული არსენალის ემოციურად და შთამბეჭდავად გამოყენება მისთვის ნამდველი აღმოჩენაა, „ძველის ხელახალი აღმოჩენა“. გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები აგებულია რეალისტური პრინციპით და დაწერილია ისე, რომ არც ერთი მათგანის კითხვისას არ ჩნდება ყალბი ემოცია. ბელა წიფურიასთვის „გამორთული მთვარე“ რეალისტური ლიტერატურის გაკვლადებული სიცოცხლის დასტურია.

ეთერ თათარაიძისთვის მეტად ემოციურია გიორგი სოსიაშვილის ომის თემატიკაზე შექმნილი მოთხრობები. იგი საუბრობს ტრაგიკულ განცდებზე, რომლებიც აგვიტოს ომმა დაუტოვა და რომლებსაც საოცარი ბუნებრიობით ხვდება მწერლის შემოქმედებაში. მისთვის, როგორც ფოლკლორისტისათვის, საინტერესოა ბავშვების სააღდგომო განწყობები, ჭონის სცენები, რომლებიც უძველესი ქართული ტრადიციების ასოციაციებს იწვევს. ფოლკლორისტის შეფასებით, წიგნი დიდი სითბოთია გაჯერებული და მიაჩნია, რომ ყველა ჟანრის მკითხველისათვისაასაინტერესოკრებული „გამორთულიმთვარე“, რომლითაც მწერალმა სამუდამოდ შეუნახა მომავალ თობებს აგვისტოს ომის ტრაგიკული მოვლენების ქრონიკები.

ნანა კუციას თვალთახედვით, გიორგი სოსიაშვლი ისტორიულ სინამდვილეს პროვიდენციულად და ტელეოლოგიურად ასახავს. ამის საფძველი კი რეალისტური თხრობაა. რეალობის ცალსახა შეგრძნება მოთხრობებს მაღალ ღირებულებას ანიჭებს. ნანა კუციას, მურმან თვდიშვილის მსგავსად, „ჰაბოს წამება“ ახსენდება: „2008 წლის შვებულებაში“ მწერლის მიერ ნათქვამი „გადაქართულება“ მერვე საუკუნის ნაწარმოებში

ნახსენებ „გარდაგვლარძნას“ ასოციაციას იწვევს. ორივე მათგანი ქართველების სუსტი მხარის - გულმავიწყობის წარმოსაჩენადაა მოხმობილი, რაც ესოდენ მძიმე შედეგებს მოუმკის ხოლმე ჩვენს ერს. ნანა კუციას აზრით, „თვისებრივის, არსებითის, „ძირკველთა საძირკვლის“ (როგორც ესმა ონიანი იტყოდა) გადასარჩენად დაწერილი წიგნია „გამორთული მთვარე“; „ეს წიგნი ჯვარცმასა და აღდგომაზეა, ჯოჯოხეთში - სამოთხის ხსოვნაზე, რამაც უნდა დაგარჩინოს და გადაგარჩინოს...“ კრიტიკოსისათვის ნიშანდობლივია მწერლის მხატვრულად და ბელეტრისტულად წარმოდგენილი დუკუმენტური თხრობის მანერა, რაც მხატვრულ - დოკუმენტური ფილმის სცენარადაც ესახება. გიორგი სოსიაშვილის მოთხრობებში ულმობლობასა და სისასტიკეს კონტრასტულად ხვდება სიკეთე და სიყვარული, რაც „მტრობისა და სიძულვილის არმცოდნე“ ქართული გულის სახასიათო ნიშანია.

ნინო ვახანიას შეფასებით, „გამორთული მთვარე“ მოთხრობებით შედგენილი ერთი მთლიანი რომანია, რომელიც იმგვარად ატკბობს მკითხველის გულს, როგორც გრიგოლ ორბელიანისას ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება. აქ რეალურად შეიგრძნობა მონათხრობი, რაც ხაზს უსვამს მწერლის მაღალ შემოქმედებით უნარს. შემფასებლისთვის მწერალი გამოირჩევა ინდივიდუალიზმით: „სოსიაშვილი სოსიაშვილია, მას თავისი სამყარო აქვს - მაღალი, დიდი სევდა-ნოსტალგიით გაზავებული, მაგრამ მაინც ნათელი და თბილი... მწერალი თვალებს არ იჭიჭყნის, იქნებ ცრემლი მომივიდესო, არამედ ცხოვრების მდინარის ძირშია ჩასული და უშიშრად გამოხატავს ლექსსაც, ლაფსაც და მარგალიტებსაც“. ნინო ვახანიასთვის ასევე საყურადღებოა მწერლის „ძარღვიანი ქართულით“ მეტყველება და მნიშვნელოვან აღმოჩენად ესახება თხრობისას დავით გურამიშვილისეული სიტყვის - „კაბდოს“ გამოყენება, - „აქამდე მკვდარი მეგონა (სიტყვა „კაბდო“) და აჰა, ცოცხალია და მოულოდნელად შემომეგება რამდენჯერმე“.

მარინე ტურავასაც, ნინო ვახანიას მსგავსად, „გამორთული მთვარე“ ერთ მთლიან რომანად წარმოუდგენია, როგორც ჯეფრი ჩოსერის „კენტენბერიული მოთხრობები“ და „სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე - სიცრუისა“.ავტორი სრული სისავსით ხატავს ტრაგიკული პერსონაჟების მძიმე ხვედრსა და ტკივილიან განცდებს. ყველა მათგანის სატკივარს მწერლის გულში გამოუვლია და „სევდისა და ვარამის ლუკმად ქცეული მოხუცების“, ჯარისკაცის მამასავით ერთადერთი დაკარგული ვაჟის მაძებარი ელიზბარის,

ნასოფლარის ჭირისუფალი სოლოს, საფლავიდან ახმიანებული უცნობი ჯარისკაცის, დევნილობაში გარდაცვლილი კაცის ამეტყველებული სულის და სხვა ნატანჯი ადამიანების ამბის სახით წარმოუდგება მკითხველს თვალწინ. „ილიასეული წყევლაკრულვიანი საკითხავით სრულდება „გამორთული მთვარე“, სამშობლოწართმეული, უფლებააყრილი თედო პაპა მავთულხლართების მიღმა გადადის და ცოლის საფლავზე დამხობილი კვდება („მავთულხლართი“)...“ მარინე ტურავასთვის გიორგი სოსიაშვილი, კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ სხვა ადამიანთა მსგავსად, „თავის წილ სამშობლოს იცავს, ნამდვილი გმირია!“

წინამდებარე თავში შევეცადეთ სრულყოფილად მოგვეკვლია ჩვენი საკვლევი თემის შემხებლობაში მყოფი ყველა სტატია თუ რეცენზია და კეთილსინდისიერად გამოგვეყენებინა კვლევის პროცესში.

თავი II. ომი, როგორც მოვლენა მწერლის შემოქმედებაში

ადამიანებს ერთი ძალზე მნიშვნელოვანი თვისება გაგვაჩნია: ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ვახდენთ ერთმანეთზე ზეგავლენას. განსაკუთრებული მისია ამ მხრივ ყველაზე მეტად ლიტერატურის წარმომადგენლებს აკისრიათ. მათზეა დამოკიდებული, რამდენად გონივრულად და ოსტატურად გამოიყენებენ სიტყვის ძალას თავიანთი ერის სამსახურში. დღეს ქართულ ლიტერატურაში (და არა მხოლოდ ქართულში), ბევრი იწერება, „სიტყვის თვისუფლება“ არავის უკრძალავს სამწერლო საქმიანობას, თუმცა ერის სამსახურად ვერ ჩითვლება ყველა ნარატივი. ყველაფერს გააჩნია საკუთარი ღირებულება და მათ შორის - ლიტერატურულ ქმნილებებსაც. ლიტერატურული ნაწარმოების ღირებულებას კი განსაზღვრავს არა მხოლოდ მისი შინაარსი და კაზმულსიტყვაობა (რისი დეფიციტიც არსებობს სადღეისოდ), არამედ, ისიც, თუ რამდენად კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს იგი მკითხველზე, რაოდენ ძალუძს მას ადამიანში გააღვიძოს პოზიტივი და არა - ნეგატივი, შეცვალოს არსებული რეალობა უკეთესისაკენ. ქართული ლიტერატურის ისტორიას ამ მხრივ არა ერთი ღირსეული შემოქმედი ახსოვს, რომელთა, მართალმა სიტყვამ კეთილი ნაყოფი გამოიღო. მიხეილ ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ ღირებული ლიტერატურის შესაქმნელად აუცილებელია მწერალს ჰქონდეს რეალობის ცხოველი შეგრძნება. ვფიქრობთ, ეს მსჯელობა ძალზე ახლოსაა ჭეშმარიტებასთან. სინამდვილის ადეკვატური აღქმიდან იწყება ნაწარმოების დაწერის (და არა მხოლოდ) სწორი გზა, ისეთი ნაწარმოებისა, რომელმაც სამსახური უნდა გაუწიოს ხალხს.

ომი გამანადგურებელი ტალღაა, რომელიც მუსრავს განურჩევლად ყოველივეს, რაც წინ დახვდება. იგი საზარელია ადამიანისათვის იმდენად, რამდენადაც თავის თავში შეიცავს სიკვდილის, დასახიჩრების, საყვარელი ადამიანების დაკარგვის, სამშობლოს მოწყვეტის და სხვა უამრავ საფრთხეს. თუმცა ისტორიულ-პოლიტიკური პროცესები არჩევანის უფლებას ართმევს ზოგჯერ ამა თუ იმ ერს და მშვიდობის ნაცვლად ომს სთავაზობს. ადამიანი დაბადებიდან გაურბის სიკვდილს. საკმარისია სულ პაწაწინა ბავშვმაც კი იგრძნოს რაიმე საშიშროების მოახლობა და მყისვე უაქტიურდება თავდაცვითი ინსტიქტი. მძიმეა მასშტაბური საფრთხეების წინაშე აღმოჩენილი კაცის მდგომარეობა. საომარ პირობებში ზოგს სამშობლოს სადარაჯოზე დგომა ევალება განგებით, ზოგს - მოყვასისთვის ნუგეშისცემა, ზოგსაც - საკუთარი სახლ-კარის დაცვით

ქვეყნის საზღვრების გამაგრება... ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენა ადამიანებში თავისებურსა და განსხვავებულ განწყობებს იწვევს. ომი და მისი მსგავი ტოტალური მოვლენები კი ადამიანთა შინაგანი სამყაროს ერთგვარი ინდიკატორია, ასეთ ვითარებებში გამოვლინდება ყველაზე მკვეთრად ადამიანთა მამაცობა და სიმხდალე, ერთგულება და ორპირობა, სიყვარული და სიძულვილი...

ომი თავისი მასშტაბურობით ყველას და ყველაფერს ეხება, მათ შორის კულტურას, ლიტერატურას. 2008 წლის აგვისტოს ომის გიორგი სოსიაშვილისეული ასახვა თანამედროვე ქართულ მწერლობაში მნიშვნელოვანი მოვლენაა. ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ მწერლის არჩევანი რეალისტური თხრობა, ისტორიული სინამდვილისა და საზოგადოების ნამდვილი ცხოვრების წარმოჩენაა. ნაწარმოებებში მკაფიოდ ჩანს ავტორის სულიერი სიღრმე, და მწერლის ოსტატობა, რაც აუცილებელია ყველა შემოქმედისათვის, რათა მან ჯერ სრულად გაითავისოს მოვლენები, შემდეგ კი მოქნილად და შთამბეჭდავი ემოციურობით მიიტანოს სათქმელი მკითხველამდე. 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიით შეძრულია მწერალი. როგორც არაერთგზის იქნა აღნიშნული, იგი თავადაა მკვიდრი იმ მიწისა, რომელიც ბარბაროსულად აიკლო მტერმა. მწერალი პირადად გახლავთ მომსწრე იმ პროცესებისა, რომლებიც ახლდა აგვისტოს ომს. ავტორი საოცარი სიცხადით საუბრობს აგვისტოს ცხელ დღეებზე, ხალხისსულიერ განცდებზე, ტკივილსათუ სიხარულზე, სამშობლოს სიყვარულზე, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებებზე, იმ საშინელ სევდაზე, რომელიც ყველა გრძნობიერი ქართველის გულს ჯანყივით აწევს და რომელსაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა ჰქვია.

„რამ შექმნა სამყარო? ბერთა საცხოვრებელში იყო ამ კითხვის პასუხი. ნისლდაფენილ ხეობას კმაყოფილი გავცქეროდი, რო ბოლოს და ბოლოს ამ კითხვის პასუხი, რომლის ძიებაში აუარება ენერგია დაუხარჯავს კაცთა მოდგმას და უთვალავი წიგნიც დაწერილა, ასე მარტივად აღმოვაჩინე... გადავწყვიტე, რო მარიამობის თვეში აღებული შვებულება ქოზიფას მამათა მონასტერში გამეტარებინა, თუმცა ვარდისფერი სიზმრები ომმა გადამავიწყა.(სოსიაშვილი, 2016: 5)“ ავტორს ამ სიტყვების დაწერამდე ხანგრძლივად უფიქრია ზოგად საკაცობრიო საკითხებზე, მარადიულ ჭეშმარიტებაზე, ყოველივეს პირველ საწყისზე, რომელიც ადამიანებს სიოცოცხლეს, ბედნიერებას გვანიჭებს. მან იპოვა სამყაროს შემოქმედი და სურს ჩაუღრმავდეს ამ აღმოჩენას, სურს

გაიღრმაოს სულიერი ცოდნა, გამოცდილება, შვებულება გაატაროს იქ, სადაც ნეტარი სიმშვიდეა, მისი მყუდროება არ დაირღვევა და შეძლებს გააგრძელოს აზროვნება მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანზე; თუმცა მწერლის ჩანაფიქრს განხორციელებაში ხელს უშლის ომი, რომელმაც აგვისტოს მზიანი დღეები სისხლით შეღება. მწერლის ოცნებასა და აგვისტოს ტრაგედიას შორის მკვეთრი კონტრასტია, რომელიც ვარდისფერი ოცნებების ფონზე ომის საშინელებას კიდევ უფრო ამუქებს.

„2008 წლის შვებულებაში“ გიორგი სოსიაშვილი თანმიმდევრულად საუბრობს იმ პროცესებზე რომლებიც აგვისტოს ომის დროს მიმდინარეობდა საქართველოში. მოწინააღმდეგეთა არმიამ ჯერ საზღვრისპირა სოფლების დაბომბვა დაიწყო და თანდათან ქლაქ გორისაკენ მოიწევდა, ქართველ მებრძოლებთნ ერთად დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა, მრავალი ადამიანის ქონება მტრის ხელში აღმოჩნდა უამრავი ქართველი საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად იქცა... მარიამობის მზიანი და ტკბილი თვე ჩაუმწარა მტერმა ქართველ ხალხს.ავტორი მუქ ფერებში გვიხატავს აგვისტოს ერთ-ერთ შემზარავ საღამოს, როდესაც საომრად მომზადებული ქართველი სამხედროების კოლონა გორში იმყოფებოდა. ჩაბნელებულ ქალაქში ჩამწკრივებულიყო ჯარისკაცებით სავსე ყვითელი ავტობუსები, მებრძოლები მდუმარედ ელოდებოდნენ ბრძანებას, რომელიც ბევრი მათგანისთვის ალბათ სასიკვდილო განაჩენს უდრიდა.ფეხით მიმავალმწერალს უნდა, რომ მივიდეს მათთან და რაიმე გამამხნევებელი უთხრას მაგრამ განზრახვაზე ხელს იღებს, ესმის რა, სამშობლოს დასაცავად შემართული ჯარისკაცებისთვის გამამხნევებელი სიტყვების მოსმენა იმის მტკიცებაა, რომ ორჯერ ორი ოთხია, რადგან ყველაზე უკეთ სწორედ ჯარისკაცმა უწყის ასეთ პიკურ სიტუაციაში საკუთარი ფუნქციისა და როლის მნიშვნელობა, მათთვის ისედაც ყველაფერი ნათელია, სამშობლოსთვის თავგანწირვის სურვილი ხომ თითოეულს უკვე გამოხატული აქვს სწორედ იმ ყვითელ ავტობუსებში ყოფნით. ამიტომ ეს სურათი შემოქმედებაში დაილექება და იქიდან იტყვის საკუთარ ტკივილიან გულისთქმას მწერალი. ქალაქი საშინელების მოლოდინში გარინდულიყო და სამშობლოს გადასარჩენად ომის კალოზე გზავნიდა ყმაწვილებს, რომლებიც წარმოადგენდნენ ჩვენი ერის მომავალ თაობას, ახალ და ენერგიულ ძალას, სიცოცხლით სავსე ადამიანებს, მშობელ ხალხს რომ იმედითა და სიხარულით ავსებდნენ. მათ წილად ხვდათ სამშობლოსთვის თავის გაწირვა, წინაპართა დანატოვარი და მათი სისხლით

გაპოხიერებილი მშობლიური მიწის საკუთრი სიცოცხლის ფასად დაცვა, მამულის სამსხვერპლოზე საკუთრი თავის დადება... გაყუჩებულ ქალაქში ელექტროენეგია გამოერთოთ, ყველა შიშს მოეცვა, სასწრაფო დახმარების მანქანები თუ დაარღვევდნენ სიბნელესა და მდუმარებას, რომლებსაც დაჭრილი სამხედროები გადაჰყავდათ ჰოსპიტალში. ხედავდნენ ქართველები თუ როგორ სპობდა ჩვენი ახლგაზრდების სიცოცხლეს სისხლით გაუმაძღარი ომი... თანდათან უცნაური განცდით გავსებს მწერლის პასაჟები, ისეთი განცდით, რომ ვერ გაარკვევ რას გრძნობ, შიშს? მრისხანებას? დარდს? ალბათ ცოტ-ცოტა ყველაფერს, რადგან ომის საშინელების განცდა მართლაცდა ძვალსა და რბილში ატანს ამ სტრიქონების ჩაკითხვისას.

მრავალი ადამიანი მოაცილა მშობლიურ კერას 2008 წლის აგვისტოს ომმა, ხალხმა ისე დატოვა სახლები აუცილებელი პირადი ნივთებიც რომ ვერ წაიღო თან. მრავალ მშრომელ გლეხს გაუხდა სანატრელი საკუთარ მიწაზე წლების მანძილზე ნაფერები ხეხილის მოვლა, მისი ნაყოფის მოწევა...

საზღვრისპირა სოფლებში არსებული დაძაბული მდგომარეობის მაგალითია „2008 წლის შვებულების“ ერთ-ერთი ეპიზოდი, როდესაც, თითქოს, დაწყნარებულ სოფელში გაემგზავრება მთხრობელი (რომელიც ამ შემთხვევაში ავტორის პროტაგონისტად გვესახება) მეუღლესთან ერთად, რათა სახლ-კარს თვალი შეავლოს, საქონელი დაარწყულოს, გაეცნოს ვითრებას მშობლიურ მხარეში. „ასე მეგონა, უდაბნოში ვიყავი. კაცთა მოდგმა სადღაც გაუჩინარებულიყო. გვხვდებოდა დაცარიელებული სოფლები, ჯარის მანქანებს თუ წავაწყდებოდით, ზოგი ჩრდილოეთით მიდიოდა, ზოგი უკან ბრუნდებოდა. ვერაფერს გაიგებდი გზის პირებზე ტანკები დავლანდე, ჭადრის ზოლების ასწვრივ ნედლი ტოტები დაემტვრიათ ხეებისთვის და ზემოდან დაეყარათ, რო ცას გაკრულ ბომბდამშენებს ვერ შეემჩნიათ, კაცმა არ იცოდა, როდის წამოუქროლებდა ალალივით, როდის დააცხრებოდა ხალხს“ (სოსიაშვილი, 2016: 17). მოსახლეობას მიეტოვებინა სამკვიდრო და გახიზნულიყო, კანტიკუნტად შემორჩენილიყო აქა-იქ რამდენიმე ადამიანი, რომლებმაც ვერ გაიმეტეს მისატოვებლად საკუთარი კარ-მიდამო, არ დატოვეს მრავალი წლის მანძილზე საკუთარი ხელებით ნაშენები არე-მარე მტრის ხელსაყოფად, თითქოს რაიმეს გააწყობდნენ XXI საუკუნის საშინელი იარაღის - ბომბდამშენის წინააღმდეგ. ყველას თვალებში შიში იკითხებოდა. ყველა გაურკვევლობაში

იყო. ყველას სურდა დროულად დასრულებულიყო საშინელი რეალობა.მეუღლეებმა რიგიანადაც ვერ მოასწრეს თავიანთი სახლის დათვალიერება, რომ უეცრად კვლავ გამოჩნდა ცაზე „ვერცხლისფერი სიკვდილი (სოსიაშვილი, 2016: 22)“ და ისინი იძულებულნი გახდნენ მეზობლის სარდაფისთვის შეეფარებინათ თავი, სიკვდილის მოლოდინში დაჰყვეს იქ მცირე ხანს, შემდეგ კი მიუხედავად დაბომბვაში მოყოლის საშიშროებისა მანქანით დატოვეს სოფელი. მათ მხოლოდ მცირეოდენი ტანსაცმელი წამოიღეს ნაჩქარევად. ასეთ მძიმე და კრიტიკულ ვითარებაში მოუხდა ქართული საზღვრისპირა სოფლების მოსახლეობას თავისი სამკვიდროს დატოვება, ხელცარიელად, შიშითა და პანიკით, შეურაცხყოფილად, დამცირებულად... ეს პასაჟი ერთი კონკრეტული ოჯახის მაგალითზე განზოგადებულად გვიხატავს ეგრეთწოდებული საზღვრისპირა სოფლებისა და მათი მცხოვრებლების მდგომარეობას. ტრაგიზმი, რომელიც მოთხრობის გმირების სულიერ სამყაროში ვითრდება, საყოველთაო ტკივილს ასახავს და ავტორის მიზანიც ეს არის, ერთი მაგალითით შექმნას მასშტაბური სურათი, რომლითაც ნათელს სწორედ ადამიანების მდგომარეობას მოჰფენს უპირველეს ყოვლისა, თუმცა ადამიანების გარდა, ყველა სულიერს და, რაოდენ უჩვეულოც არ უნდა იყოს, უსულო საგნებსაც ეხება ომი, ამ ვითარებაში სახლის კედლები სხვანაირად გამოფიტულად გამოიყურება და შინაური ცხოველებიც ადამიანებივით არიან მძიმე განცდების ქვეშ მოქცეულნი.

ოკუპანტთა დაუნდობლობისა და კადნიერების, ომით გამოწვეული დამამცირებელი მდგომარეობის შეგრძნებას ამძაფრებს „2008 წლის შვებულებაში“ კიდევ ერთი პასაჟი, კერძოდ, შეიარაღებული ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების ქმედება, რომლებმაც სტალინის სახლმუზეუმს მიაშურეს ფოტოაპარატით ხელში. აქ მკაფიოდ ჩანს არა მხოლოდ მათი ბელადისადმი დამოკიდებულება, არამედ აგრესორთა დამცინავი მოპყრობა დაპყრობილის მიმართ; ისინი თავს უფლებას აძლევენ ისარგებლონ ყველაფრით, რაც მათთვის სასურველია, გაუკაცრიელებულ ქალაქში ვინ არის შიშველი ხელებით წინააღმდეგობის გამწევი და საკადრისი პასუხის მიმგები?! მწერალი ამ თითქოსდა პატარა მინიშნებით სრულყოფილად ხატავს მომხდურის სახეს, რომელიც სურათების გადაღებით თავშექცევისთვის ემზადება და არაფრად ანაღვლებს, რომ იმ კაცის სამშობლოს განადგურებას ესწრაფვის, რომელიც თავადვე იდეალად დაუსახავს. აქვე, თითქოს, ბედის ირონიის ხატოვან ფერწერულ ტილოს ქმნის პროზაიკოსი, რადგან

ამავე პასაჟში სწორედ ისიცაა ქვეტექსტი, რომ ქართველები, ვისაც ყველაზე უფრო მეტად გამოვადექით, ისტორიულად ისინი გვექცნენ დაუძინებელ მტრებად და, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, თავადაც უწყიან ქართველთა როლისა და მნიშვნელობის შესახებ, ამიტომ თან სურათებს გადაიღებენ სტალინის მშობლიურ ქალაქში და თან დაბომბავენ, ისე, რომ ვერც მიხვდებიან ამ ორ ქმედებას შორის არსებულ რადიკალურ შეუსაბამობას.

ომის სისხლ - ცრემლიანი სურათები ცოცხლდება მკითხველის თვალწინ მოთხრობის „სისხლი წყაროსთან“ კითხვისას. გიორგი სოსოიაშვლი მძლავრი ექსპრესიულობით ხატავს საომარივითარებისა და მტრის სათარეშოდ მიტოვეუბული ქართული საზღვრისპირა სოფლის შთამბეჭდავ სურათს. ნაწარმოებში ასახულია მოხუცი კაცის - მიშას მიერ გადატანილი აგვისტოს ომის მძიმე დღეები, რომელიც ეულად დარჩა სახლ-კარის მცველად. აფეთქებების ხმა აყრუებდა არე-მარეს, რუსების ნასროლი ჭურვები მისი ეზოს სიახლოვეს ცვიოდა, ადამიანის ნაშობი არ ჭაჭანებდა სოფელში, მხოლოდ მიტოვებული საქონლის ბღავილს, ძაღლების შემზარავ ყმუილსა და ოსი ყაჩაღების ხმას თუ გაიგონებდა კაცი, რომლებიც ქართველთა სახლების საძარცვავად და გადასაწვავად დაძრწოდნენ. მარტო დარჩენილი მიშას ეზოსაც ესტუმრნენ, თუმცა ხანძარი არ გაუჩენიათ. საბრალო ბერიკაცს პური და წყალიც კი გამოელია და იძულებული გახდა საგუბარში მცირე რაოდენობით დარჩენილი რუს წყალი ესვა... „დღე ვერ გამოდიოდა, შუაგულ სოფელში მანქანებით დარბოდნენ ოსები, შებინდებისას თუ გამოყოფდა თავს. მკვდარი იყო სოფელი, მხოლოდ უპატრონო ძაღლების ყმუილი ისმოდა, წარმოიდგინა, რო ამოდენა სამყაროში მარტო დარჩა, თითქო ყველა და ყველაფერი გაელეწათ სიკვდილის კალოზე და ვეება დედამიწაზე მარტო მიშაღა სულდგმულებდა“(სოსიაშვილი, 2016: 97). აქაც საინტერესოა, რომ მწერალი ადამიანის ფიზიკური და სულიერი მარტოობის თემას კიდევ უფრო შლის ამ და სხვა მოთხრობებშიც და გამოყოფს ომის მსხვერპლთა მარტოობის პრობლემას, რომელიც გაცილებით მძაფრი და ტკივილიანი განცდაა. ამიტომაა, რომ მარტოდ დარჩენილი მიშასთვის ხმაურიც შემზარავია და სიჩუმეც, მის მიერ გუბიდან წყლის დალევაც მარტოოდენ წყურვილის მოკვლა კი არ არის, არამედ საკუთარი სოფლის სიყვარულია და მას სწორედ ის სურს, რომ ეს სიყვარული გემოთიც შეიგრძნოს, ხოლო

მწერლისთვის ამ ერთი სოფლის სიყვარულიდან ზუსტადაც, რომ სამშობლოს განცდა იწყება.

საზარელი სურათი იშლება მკითხველის თვალწინ მოთხრობაში „აღსარება მტრის საფლავთან“. მასში მწერალი სრული სიცხადით წარმოაჩენს იმ არაადამიანურ მოპყრობას, რომელიც გამოიჩინა მტერმა ტყვედ ჩავარდნილი ქართველების მიმართ. ნაწარმოები გადმოგვცემს ოსების მიერ გატაცებული ახალგაზრდა კაცის - ვანოს ამბავს. იგი ხეზე ჰყავთ მიბმული გამტაცებლებს, სასტიკად ნაცემი, ნეკნებჩამტვრეული, შეურაცხყოფილი, დამცირებული, მისთვის წყალსაც კი არ იმეტებენ, აგინებენ, ლანძღავენ, თითქოს მათი მსგავსი ადამიანი არ იყოს. ბოლოს კი „რუსული პირბლაგვი, ახალთახალი ნიჩბით ყამირი ადგილის (სოსიაშვილი, 2016: 164)“ ამოთხრას აიძულებენ - საკუთარი ხელით ამზადებინებენ სამარეს და იქვე ხელის აუკანკალებლად კლავენ. ბუნებრივია, მკითხველს შეზარავს ეს ფრაგმენტი, რომელ მხარესაც არ უნდა იდგეს იგი, რადგან ომსაც კი აქვს გარკვეული დაუწერელი კანონი და მწერლისთვის ერთია საკუთარი სამშობლოს დაცვა, მეორე კი - მცდარი და არაჯანსაღი ინტერესებისთვის ბრძოლა და სადიზმი, რომელსაც ვერანაირი სამომარი ვითარება ვერ გაამართლებს.

შუაგულ ბრძოლის ველზე აღმოჩნდება მკითხველი „ტყვეების“ კითხვისას. ეს მოთხრობა გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებთა კრებულში „მზის გადაღმა“ გამოქვეყნდა. ნარატივში მწერალი ომის მძიმე სურათებს ცხადად გვიხატავს და ქართველი სამხედროების სულიერ მდგომარეობასაც სრულად წარმოაჩენს. მათთვის ძალზე მძიმეა სიკვდილის პირისპირ ყოფნა და მტრის იარაღით დახოცილი თანამებრძოლების ყურება.თუმცა, ყველაფერთან ერთად, აღნიშნულ ნაწარმოებში ომის საშინელებას ორი ძმის ამბავი ამძაფრებს, რომლებიც ქართულ მიწაზე აგრესორის მიერ გავლებული ეკლიანი მავთულხლართის გაღმა-გამოღმააღმოჩენდნენ. ბიჭებს დედა ოსი ჰყავდათ, მამა - ქართველი. მშობლების დაცილების შემდეგ ერთ-ერთი ძმა დედამ წაიყვანა და ასე გაიზარდნენ ერთი სისხლ-ხორცის მქონე დედმამიშვილები ხელოვნურად შექმნილი საზღვრის სხვადასხვა მხარეს. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სამანს აქეთ დარჩენილი ძმა საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად რუსეთის არმიას ებრძვის, კობა კი აგრესორის წისქვილზე ასხამს წყალს და მტრის მხარეს ომობს. ორივე ძმა ტყვედ ვარდება...

აღნიშნულ მოთხრობაში მწერალი ორი ძმის ამბავის თხრობით ალეგორიულად ასახავს ქართველებსა და ოსებს შორის მესამე ძალის მიერ ჩამოგდებული შუღლის ტრაგიზმს. სიუჟეტი მართლაც, შესანიშნავად არის მოფიქრებული და, ქართულ-ოსური ოჯახების სიმრავლის გათვალისწინებით, სრულიად რეალისტურ სიტუაციასთანგვაქვს საქმე, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ნაწარმოებს. ერთი ოჯახის წარმომადგენლები საკუთარ მშობლიურ მიწაზე ერთმანეთის საწინააღმდეგოდ იბრძვიან. სამანს აქეთ დარაჩენილი ძმა რეალურ მტერს ებრძვის, კობა კი ისე ისვრის საპირისპირო მიმართულებით, თითქოს არ იცოდეს, რომ იმ მხარეს მისი ძმა ცხოვრობს, თითქოს უცნობი იყოს მისთვის, რომ ის ტერიტორია, საითაც იარაღი აქვს მიმართული მისი ნამდვილი სამშობლოა. იგი ვერ აცნობიერებს, რომ შესაძლოა საკუთარი ღვიძლი ძმის ან სხვა ნათესავის სისხლში გაისვაროს ხელები.მსგავსი გაუგონარი უგუნურება კი არაერთი მოხდა ომის განმავლობაში როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. აღსანიშნავია ის სისასტიკეც, რომელსაც ტყვედ ჩავარდნილი ქართველის მიმართ იჩენენ ოსები; ბნელ, ნესტიან ოთახში დააგდეს ხელებგაკოჭილი და ისედაც მომაკვდავის მდგომარეობაში მყოფი მძიმედ დაჭრილი ჯარისკაცი და მშიერი ვირთხების საძიძგნად გაწირეს. იოტისოდენა სიბრალულსაც არ იჩენენ მის მიმართ. სანაცვლოდ ქართველი სამხედროების ხელში დატყვევებულ კობას არავინ აყენებს ძმის მსგავს შეურაცხყოფასა და ტკივილს, მაშინაც კი, როდესაც ცნობილი ხდება მისი რუსულად შევსებული პასპორტიდან, რომ იგი არათუ ოსია ან რუსი, არამედ - ქართველი, რომელმაც საკუთარ სამშობლოსა და ერზე ხელი აღმართა. იგი საღსალამათი ტოვებს საქართველოს ტყვეების გაცვლისას, მისი საკუთარი ძმა კი, დასახიჩრებული და ცოცხალმკვდარი, საკაცით გადაჰყავთ წითელი ჯვრის მუშაკებს. მოთხრობაში „ტყვეები“ მწერალი მუქ ფერებში ხატავს იმ საზარელ რეალობას, რომელიც დიდი ხანია ღია ჭრილობასავით აწუხებს საქართველოს.

მოთხრობაში „ჩვიდმეტნი“ გიორგი სოსიაშვილი რეალისტურად აცოცხლებს სოფელ შინდისთან დაღუპული ჩვიდმეტი ქართველი გმირის უკანასკნელ შეტაკებას რუსეთის არმიასთან. ჩვენი ახალგაზრდა მებრძოლების სიმამაცესა და თავგანწირვას უპირისპირდება მტრის ვერაგობა, სისასტიკე და დაუნდობლობა.„ბეემპეებზე“ რუსებს ქრთველი ჯარისკაცების მოსატყუებლადხუთჯვრიანი მოალაფებული დროშა აღემართათ (სოსიაშვილი, 2016: 177)“, უშიშრად მოიწევდნენ ქართლის შუაგულისაკენ, გზად კი

ქართველი სამხედროების მანქანებს შეხვდნენ. ჩვენი მებრძოლები თვდაპირველად ვერ მიხვდნენ, რომ მათ წინ ვერაგი მტრის ჯავშანტექნიკა იდგა. სიმართლე მალე გამჟღავნდა. არნახული ძალა და თავგანწირვა აჩვენეს რუსებს „შინდისელმა გმირებმა“, მაგრამ ოცამდე მებრძოლი რას გახდებოდა რამდენიმე ასეულ მტერთან, რომელსაც ნაბრძანები ჰქონდა, რომ ცოცხალი არავინ დაეტოვებინა?სულ ბოლოს მარტო დარჩენილმა გიომ რუსებს რომ ტყვედ არ ჩავარდნოდა, ძალები მოიკრიბა, „თორნიკეს ჩაეხუტა, თითქო ჭირისუფლობას უწევდა. თორნიკეს სისხლს მისი ცრემლი შეერია. მთებს გახედა, მარიამობისთვის ბინდის ქსოვილში გახვეულ მთებს, ეგებ არც იყო ბინდი და გიოს ეჩვენებოდა, მისთვის მარადიული ღამე დგებოდა. გულის ჯიბეზე წამიერად გაიკრა ხელი. გირჩის მსგავს ყუმბარას კბილებით წააძრო თავი და თვალები დახუჭა...“ (სოსიაშვილი, 2016: 180) ესეც მწერლის ფანტაზიით გამხატვრულებული რეალური გმირების ისტორიაა, რომელსაც გიორგი სოსიაშვილი, ბუნებრივია, ყურადღების მიღმა ვერ დატოვებდა და სრულიად სამართლიანია, რომნამდვილი გმირები ლიტერატურულ გმირებად გაცოცხლდებიან ქართულ სალიტერატურო სივრცეში და მიუხედავად იმისა, რომ აქაც სიკვდილთან ჭიდილში საბოლოოდ დამარცხდებიან, სწორედაც რომ ცოცხალი გმირების სახე იქმნება მათი გაპერსონაჟებით! დიმიტრი უზნაძე „ომის ფილოსოფიაში“ ადამიანის სიცოცხლეს მისი არსებობის მიზნად კი არ განიხილავს, არამედ - საშუალებად, „რომელიც მის გარეშე გაშლილ ობიექტურ მიზანთა აყვავებას ემსახურება და ზვარაკად ეწირება“ (უზნაძე, 12). მისი აზრით ქართველი ერის ისტორიული წარსული გახლავთ მუშაობა იმ დიდი შენობის ასაგებად, რომლის შენებაც ჩვენს წინაპრებს დაუწყიათ, მისი დამთავრება კი მომავალი თაობებისთვის გადაუციათ. ამიტომაცაა, რომ ერი ყურადღებისა და პატივისცემის ღირსად მხოლოდ მათ მიიჩნევს, ვინც თავს არ დაზოგავს ამ მშენებლობის საქმეში. გიორგი სოსიაშვილი სწორედ ამ მშენებლობის ამაგდარი მონაწილეების სახეებს წარმოაჩენს მოთხრობაში „ჩვიდმეტნი“ და ამ საქმით თავადაც ებმება ისტორიული შენების პროცესში, რამეთუ უკვდავყოფს გმირთა სახელებს და მომავალ თაობებს წინ უდებს მათი გმირობის მაგალითს. ამ ნაწარმოებით მწერალი ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორი შეიძლება იყოს სიკვდილის პირისპირ მყოფი სამშობლოსათვის თავგამოდებული ადამიანის უკანასკნელი ფიქრები გმირობის ჩადენის მომენტში.

გიორგი სოსიაშვილი თავის ომის სევდით გაჯერებულ წიგნში მთელი სისავსით აღწერს ქართულ-რუსული კონფლიქტის, აგვისტოს ომის საშინელებას, იმ მძიმე შედეგებს, რომლებიც დადგა ვერაგი მტრის აგრესიის შედეგად. თუმცა, ამ ყველაფერთან ერთად აღსანიშნავია, რომ იგი ოპტიმისტი მწერალია. მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ იარაღით ეს პრობლემა არ მოგვარდება. ჩატეხილ ხიდს მხოლოდ ძმობა და მეგობრობა თუ აღადგენს. ოსი და ქართველი გლეხის ურთიერთგატანა სწორედ მავთულხლართებს მიღმა დარჩენილი ერთმანეთის ბაღების მოვლა-პატრონობიდან უნდა დაიწყოს; ორივე ერის წარმომადგენლებმა უნდა შეძლონ ერთმანეთთან გულითადი დანათესავება-დამოყვრება, უანგარო თავდადება ორივე მხარეს მართებს.ავტორი „ძალა ერთობისას“ ქადაგებს და ორვე მხარეს მოუწოდებს ერთმანეთისაკენ გადადგან ნაბიჯი. რუსების მიერ გავლებული ავადსახსენებელი მავთულხლართის მოსპობა მხოლოდ გულითადი შეერთებით მოისპობა და არა იარაღით. ვერც „ვიღაც დიდკაცებს“ ძალუძთ სამანის აღება კონფლიქტის ზონის მოსახლეობას ხშირად რომ სტუმრობენ, გაუთვებლად რომ ლაპარაკობენ საკუთრი თავის „გასაპიარებლად“ და ლიტონი სიტყვებით ცდილობენ გასაცოდავებული ხალხის „დაიმედებას“.ისევე, როგორც მოთხრობათა უმრავლესობაში, „მთვლემარე წლებშიც“ ნათლად იკვეთება მწერლის დამოკიდებულება და მკვეთრად გაკეთებული აქცენტი, რომ, რეალურად, „მესამე ძალა“ ქმნის და მართავს იმ სიძულვილს, რომელიც ქართველ, ოს და აფხაზ ხალხს აქვს თავს მოხვეული, მეტიც, ზოგიერთ გულის კუნჭულში განძივით შენახულ-შემორჩენილ სიყვარულსაც არ შეარჩენენ თუ გაუგეს; ამიტომაა, რომ აქეთ ერთ მეგობარს დაატარებენ დაკითხვაზე, იქით - მეორეს („ბაღები“), ამიტომაა, რომ შვილივით მიღებულ ნასტუდენტარს შიშით მასპინძლობენ კოსტა ძია და ვერა ძალო(„მთვლემარე წლები“). მაგრამ სიყვარული ხომ არსებობს და ხომ ძალდაუტანებელ ურთიერთობებზეა აღმოცენებული, ხომ მაინც შედის ცხინვალში და ვერ აოკებს შიში ნასტუდენტარი გმირის სიყვარულს, ხომ მაინ გამოძვრება მავთულხლართებში ოსი გოგონა და ვერც მას აკავებს ეკლიანი მავთული. და რას ნიშნავს მწერლის მიერ დახატული ეს პასაჟები? - ალათ დასაბუთებულ და ჭეშმარიტ რწმენას, რომ ნებისმიერი ხერხით დათესილ მტრობას თუ ალაგ-ალაგ ჯანსაღ ნიადაგზე აღმოცენებული სიყვარული სძლევს, მაშინ ამ „ჯეგირებით“ დაოკებულ სიძულვილს თავად სიყვარული წალეკავს თუ მას ხელოვნური გამმაგრებლები - იმპერიის მოხელეები მოსცილდებიან. ეს

არის პრაქტიკულად ადამიანური განცდების მაგალითზე ნაჩვენები პოლიტიკური სურათი, რომელიც მსოფლიომ სწორედ ისე მკვეთრად უნდა დაინახოს, როგორც რეალურად არის და როგორსაც შესანიშნავად აღწერს ავტორი.

აღსანიშნავია, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოსაგვარებლად არსებითი მნიშვნელობა აქვს რეალური მტრის განსაზღვრას. გიორგი სოსიაშვილი მკაფიოდ გამოკვეთს ვინ არის საქართველოში უკანონოდ გავლებული მავთულხლართების „ავტორი". „მთვლემარე წლებში" მთავარი გმირის ოსი მასპინძელი იხსენებს თავისი წინაპრების მეგობრობას ქართველებთან. იგი მადლიერია ქართველი ხალხისა, რადგან მაჩაბლების დამსახურებით დამკვიდრებულა ცხინვალში მისი გვარი. კოსტას პაპა ხელმოკლედ მცხოვრები კაცი ყოფილა და იმისათვის, რომ ოჯახი ერჩინა, მაჩაბლის მამულში დაუწყია მუშაობა. ბატონი იმდენად კეთილი აღმოჩნდა, რომ მან შეძლო ოჯახის თავისთან წაყვანა, შემდგომში კი ცხინვალში მამულების ყიდვა. „ამათ (ოსებს გულისხმობდა) ან მეხსიერება დაკარგეს, ან კიდევა, რუსების დაკრულზე ცეკვავენ... ჩვენი მიწააო... ეე, ესე არაფერი გამოვა. ხიდი ინგრევა, ხიდი. ჩვენი თაობა მიდის და მაგის უფრო მეშინია. ჩემი თაობის კაცებს ყველაფერი კარგად ახსოვთ, მარა, ზოგი უკვე აღარ არის, ვინც დარჩა კიდე, ამ მამლაყინწების შიშით ხმა ვერ ამოუღია. ამოიღებენ და..." (სოსიაშვილი, 2016: 128) ამ სიტყვებს ამბობს გულნატკენი კოსტა, რომელიც კარგად აცნობიერებს ქართულ-ოსური პრობლემის არსს და ხაზს უსვამს შეცდომაში შეყვანილი „მამლაყინწების" მცდარ გზას.

წითელი „06"-ის მძღოლმაც, რომელმაც მთავარი გმირი ცხინვალამდე წაიყვანა, კარგად იცის რუსეთის მზაკვრობის ამბავი საქართველოსთან მიმართებაში. მისი აზრით, სწორედ რუსული მხარეა ყველაფერში დამნაშავე, ოსები კი ცდებიან რადგან ვერ ხედავენ ვერაგი დამპყრობლის ცბიერებას. მძღოლის აზრით, მაშინ მოგვარდება ქართულ-ოსური პრობლემა, როცა რუსეთი გადგება განზე: „ესენი რო წაეთრევიან, მერე ყველაფერი კარგად იქნება... აქ რა სიკვდილი უნდათ, სამართალი აღარ არის? ამ ოსებსაც ტვინი აქვთ ნაღრძობი"(სოსიაშვილი, 2016: 132). რაც ყველაზე საინტერესოა და ყურადღებამისაქცევი, ამ აღიარებით მონოლოგებს აშკარად რეალური წყარო გააჩნიათ, რამდენადაც ტექსტებში ჩანს, რომ ეს მსჯელობა ნამდვილად მისადაგებულია რიგითი ოსების გულისტკივილთან და ეს სწორედ იმ შინაარსისა და ტიპის მსჯელობაა, რომელსაც კერძო საუბრებში

არაერთგზის აფიქსირებენ ოსი ეროვნების მოქალაქენი,თუკი რუსეთის ყურმოჭრილ მსახურებთან - „მამლაყინწებთან“ დასმენის შიში არ ზღუდავთ.

„მთვლემარე წლებში“ ავტორისეული მსჯელობაც ჩანსქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობების გაფუჭების მიზეზებზე. „ვიღაც მუცელგატკვლეცილი კაცი მოვიდა სახლში, თან მხარზე კარაბინი ჰქონდა გადაკიდებული, სლოკინ-სლოკინით აანთო სინათლე, ჯერ ცოლი გააღვიძა, მერე აკვანს თეთრი ნაჭერი გადახადა, მძინარე თოთო ბალღს დასწვდა, ამ დროს მოფუტკნული იარაღიდან ტყვია გავარდა, რომელმაც ახლად მოვლენილი ბავშვის სიცოცხლე შეიწირა. ურცხვად გადააბრალა შვილის სიკვდილი იმ კაცმა ოსებს“(სოსიაშვილი, 2016: 128).

„...იმ შემოვლით გზაზე დაწვეს ოსებმა ლიახვის ხეობელი ქართველები. ხეზე მიაბეს და ისე დაწვეს. იმ ვაჟკაცების ხორცის სუნი დიდ ხანს იდგა ტყეში“.

„ქართველებმა ერთი ოსი გამოიჭირეს, შუა ზამთარში ჯერ ყინულიან წყალში აყურყუმელავეს, მერე ოსების დროშა საკუთარი ხელით ნაკუწ-ნაკუწ დააჭრევინეს...

ოსებმა...

ქართველებმა...

სადამდე მივედით. როგორ შემოძვრა, როგორ შემოფლითა სული ეშმაკმა და უცბათ გაიდგა ფესვი“(სოსიაშვილი, 2016: 129).

მაშასადამე, გიორგი სოსიაშვილი ქართულ-რუსულ კონფლიქტში ორ მსხვერპლს ხედავს - ქართველებს და ოსებს. ორივე მხარის დაუფიქრებლობითა და კინკლაობით სარგებლობს რეალური მტერი და აგრძელებს თავისი მიზნების განხორციელებას. ორივეს დანაშაულს შენიშნავს და არც ერთს არ ამართლებს იმაში, რომ მესამეს გასაბითურებელნი გახდნენ. იქნებ მეტი კეთილგონიერება ყოფილიყო მოკრებილი და სხვისი თამაშის აყოლა საკუთარი თავის წინააღმდეგ აღარ შემდგარიყო, თუმცა ისტორიამ ულმობლად დაასხა მტრის წისქვილზე წყალი და ორ მსხვერპლს შორის მართალი ვეღარ მოიძებნება, რადგან ასეთი უბრალოდ არ არსებობს. იგივე ორი მსხვერპლის პრინციპით უყურებს ავტორი აფხაზებსაც, რაც ასევე მართებულია, რადგან ორივე შემთხვევა იმდენად იდენტურია, რომ რეალურად არც კი განსხვავდება ერთმანეთისაგან.

აფხაზეთის ტრაგედის მძიმე სურათს ხატავს მწერალი მოთხრობაში „ალიონი აფხაზეთის ცაზე“, სადაც ქართველბსა და აფხზებს შორის ჩამდგარი მესამე ძალის

მზაკვრული მოქმედების შედეგად წარმოებული სისხლისხლიანი ომის სცენები ცოცხლდება. აქაც ორი მოძმე ერის ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმა, სამკვიდროდან ხალხის აყრა და გადასახლება, გაუგონარი სისასტიკე, სისხლით დატბორილი ეზოები ზარავს მკითხველს, რაც საქართველოს ისტორიის სამწუხარო რეალობაა. მწერალი აფხაზეთის ტრაგედიის შემთხვევაშიც ორ მსხვერპლს ხედავს - ქართველებსა და აფხაზებს და ხაზს უსვამს ყველა იმ ცრუპატრიოტისა და ეროვნებადაკარგული, სინდისსა და ადამიანობაზე ხელაღებული ადამიანების გამოუსწორებელ ქმედებებს, რომლებიც არა თუ ემსახურებიან სამშობლოს, არამედ პირდი მიზნების მისაღწევადარავის ინდობენ, განურჩევლად იმისა, რომელ ეთნოსს მიეკუთვნება იგი. ასეთები ვერც საკუთარ მიწა-წყალს დაიცავენ და ვერც კონფლიქტის მოგვარების საქმეს გამოადგებიან.

მწერლის აზრით, საჭიროა, როგორც ქართულმა, ისევე ოსურმა მხარემაც გამოიჩინოს კეთილგონიერება და აგრესორის თამაშის წესები არ მიიღოს და შეისისხლხორცოს. ავტორის აზრით, აუცილებელია ქართველებსა და ოსებს შორის არსებული უნდობლობის აღმოფხვრა და ამას სიბრძნე და შრომა სჭირდება, საზღვრის იქით დარჩენილებს უნდა ესმოდეთ, რომ აქეთ მყოფთ მშვიდობა სურთ და არ არიან მათი მტრები. ოსები უნდა მიხვდნენ, რომ მათი „მფარველი“ აგრესორი სინამდვილეში შანთქმას უპირებს. „ეგენი არიან ცოდონი, რო ცოტა ხანში მაგათი სახსენებელიც აღარ იქნება, საკუთარ სახელსა და გვარს თვითონ გადაუსვამენ ხაზს და თავიანთი ხელით წაშლიან იმას, რაც ჩვენ შევუნახეთ და რითაც დღეს თავი მოაქვთ“(სოსიაშვილი, 2016: 114).

„ქვეყანას დაძვრა უნდა, არა გაუთავებელი შეძვრა! ბუნებრივი დაძვრა!.. გაკეთილება!“ (გოთუა, 1981: 320) - ამბობს მართალი სიტყვის შეუდარებელი ოსტატი ლევან გოთუა. ქართველი ხალხი არა ერთხელ შეძრა ომის საშინელებამ. ქართულ-ოსური კონფლიქტი დღემდე დაძაბული ვითარებით ხასიათდება და 2008 წლის აგვისტოს ომიც ქართველი და ოსი ერის სწორედაც რომ „შეძვრა“ იყო. რაც შეხება „დაძვრასა“ და „გაკეთილებას“ ახლა სწორედ ესენი გვჭირია ორივე მხარეს, ამ საქმეში კი გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დიდი ნაბიჯია რეალობის განსაზღვრის, პრობლემის დასახვისა და გადაჭრის გზების ძიების თვალსაზრისით. ორივე ეთნოსს გვესაჭიროება მრავლად სიმართლის დამნახავი და მთქმელი პიროვნებები.

ვფიქრობთ, მწერალი გიორგი სოსიაშვილი სწორედ ერთი მათგანია, რომელმაც ადეკვატურად აღიქვა ამ მძიმე კონფლიქტის არსი და მისი აღმოფხვრის გზებიც სწორად დასახა.

თავი III. ადამიანი და მისი სულიერი მდგომარეობა ომის პირობებში

„ვისაც მიწის ალღო დაუჩლუნგდა და რეალობის გრძნობა დაეკარგა, იმას ხერხემალიც მოერღვა და კუნთებიც მოეშალა. ხოლო უძვლო და უსისხლო სხეული უეჭველად განწირულია. რეალობის მძლავრი გრძნობა და მიწის გაბასრული ალღო ხელოვნებისთვის და ხალხისთვისაც უებარი დუღაბია - მათი სხეულისა და სულის გამფოლადებელი“ (ჯავახიშვილი, 1980: 45). გიორგი სოსიაშვილის ნაწარმოებებში სწორედ რეალობის მძლავრი გრძნობა და მიწის გაბასრული ალღო შეიცნობა. მისთვის ძალზე ახლობელია სოფელში მცხოვრები ადამიანების ყოფიერება, მათი ფიქრები, შეხედულებები. იგი თავისი ხალხის ღვიძლი შვილია და საკუთარი მშობლიური მიწის ნაყოფით ნასაზრდოები ქართველი.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მწერლის სულიერი თვალსაწიერის სიფართოვეს. მისი ინტერესი მიუპყრია ყოველივეს პირველმიზეზს, სამყაროს შემოქმედს. იგი უღრმავდება ამ საკითხს და აცნობიერებს ქართელი ერის განუყოფელ კავშირს ყოვლისმპყრობელთან, ამ კავშირის ცხოველქმედებას საქართველოს ისტორიის დინამიკაში. ამიტომაცაა რელიგიური ოპტიმიზმით აღსავსე მისი მოთხრობები; მან კარგად იცის სადაა სულიერი სიმყუდროვე და ჩვენი წინაპრების სულისკვეთებასაც მძაფრად აღიქვამს, რომლებმაც ღვთის სასოებით შეძლეს საშინელ ჟამთა ძლევა და გმირთა შარავანდედის მოპოვება.

სწორედ ეს ყოველივეა წყარო მწერლის რეალობის მძლავრი გრძნობისა. იგი ხედავს არა მხოლოდ პრობლემას, არამედ, ეძებს მათი გადაჭრის გზებსაც. იგი არაა ფაქტების უბრალოდ აღმნუსხველი, მწერალი ყოველივეს ითავისებს, შეიგრძნობს და გულისა და გონების გავლით გადააქვს ფურცელზე სათქმელი. იგი ხედავს არა მხოლოდ მოვლენებსა და ადამიანთა თავს მოწევნულ საშინელებას, არამედ ძალუძს ღრმად ჩაწვდეს, ტკივილითა და განსაცდელებით შეძრულთა გრძნობებს, სიყვარულითა და მეგობრობით გულანთებულ პიროვნებათა სულისკვეთებას, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მყოფი ადამიანის განცდებს... გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები ღრმა ფიქოლოგიზმითაა შესრულებული, ავტორი წინა პლანზე აყენებს პერსონაჟთა სულიერ მდგომარეობას და მათი შინაგანი სამყაროს წარმოჩენით ცდილობს ლიტერატურული სახეების შექმნას. მისი

ნაწარმოებების თითოეული გმირი ინდივიდუალურია და განსაკუთრებული, ყოველ მათგანს მწერლისაგან დაკისრებული აქვს მნიშვნელოვანი სათქმელის გაჟღერება.

საინტერესოა, როგორია პროზაიკოსისთვალით დანახული პიროვნება და მისი შინაგანი სამყარო ომის ტრაგიზმით აღსავსე პირობებში?

„2008 წლის შვებულებაში“ მწერალი აღწერს ქალაქ გორს, სადაცარანაკლებ რთული ვითარება შეიქმნა, საზღვრისპირა სფლების მსგავსად, აქედანაც გაიხიზნა მოსახლეობა, რადგან მტრის დაუნდობელი რკინის ხელი მასაც მისწვდა, „ვერცხლიფერმა სიკვდილმა (სოსიაშვილი, 2016: 22)“ აქაც გადმოსხა თავისი სიცოცხლის მომსპობი „ბარტყები“, აქაც დააწიოკა ხალხი, ცენტრალურ მოედანზე აფეთქებებმა მშვიდობიანი მოქალაქეები და უცხოელი ჟურნალისტები გამოასალმა სიცოცხლეს. ქალაქი დაიცალა, შემორჩა მხოლოდ მცირე რაოდენობის მოსახლეობა. მათი იმედი გახლდათ უფლის სახლი - გორის ღმრთიმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი და სამთვისისა და გორის ეპარქიის სასულიერო დასი თავის სათნო მღვდელმთავართან - მეუფე ანდრია გვაზავასთან ერთად. მწერლმა სწორედ ამ ტაძარში შეივსო სულიერი ძალები და მას „ოცნების სალოცავი“ (სოსიაშვილი, 2016: 32) უწოდა. ღვთის სახლში პოულობდა ხალხი სასოებას და შვებას, წინაპართა მსგავსად, იმ წინაპართა, რომლებიც მიუხედავად მრავალი ვაებისა სულით არ ტყდებოდნენ, ღმერთს არ ღლატობდნენ და სულით გამხნევებულ-განმტკიცებულნი მტერს ზურგს არ უჩვენებდნენ, რაც ისევ რეალობის ასახვაა და ომის პირობებში რწმენის როლის, სარწმუნოების დანიშნულებისა და უფლის განცდის გამძაფრებულ გამოხატვას უსვამს ხაზს. საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ მწერლის მიერ ასახული გორში განვითარებული მოვლენები სრულად არის იდენტური რეალურ ვითარებასთან. პროზაიკოსი განავრცობს და აქცენტებს სვამს სწორედ ადამიანურ გარდასახვებზე, რთულ პირობებში ნიუანსების მნიშვნელობაზე და პიროვნების შინაგანი ფსიქოლოგიური პროცესების სააშკარაოზე გამოტანაზე, თორემ თავად ძირითადი ამბავი მას მოსაფიქრებელი სულაც არ აქვს სამწუხაროდ, რადგან იგი ისტორიამ უკვე ისეთი შექმნა, როგორიც გადმოიტანა მწერალმა საკუთარ მოთხრობათა წიაღში.

გიორგი სოსიაშვილი ფლობს განსაკუთრებულ უნარს სიღრმისეულად ამოიკითხოს ადამიანის სულიერი განცდები და მაღალი მწერლური ოსტატობით გამოიტანოს სამზეოზე. იგი წარმოაჩენს მებრძოლების სულისკვეთებას, რომლებმაც ღირსეულად თავს

იდვეს აგვისტოს ომის სიმძიმე და ერის სულიერ-ზნეობრივი საგანძურის პირადი მაგალითით გამდიდრება. მოთხრობა „ჩვიდმეტნი“, როგორც უკვე აღინიშნა, 2008 წლის აგვისტოს ომში სოფელ შინდისთან გმირულად დაღუპული ახალგაზრდა ქართველი მებრძოლების შესახებ მოგვითხრობს. ნაწარმოებისა და ომის ნამდვილი გმირები ღირსეულ პიროვნებებს წარმოადგენენ და თავიანთი რაინდული და მებრძოლი სულისკვეთებით იმ თავდადებულ წინაპრებს გვაგონებენ, რომელთა სახელებიც საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა. ჯერ კიდევ მოთხრობის კულმინაციამდეა გაშუქებული მათი მაღალი პიროვნული თვითშეგნება. ესაა ეპიზოდი, რომელშიც ზაზა გეგას მოუთხრობს როგორ შევიდა ოსურ სოფელში მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახში წყლის დასალევად სხვა თანამებრძოლებთან ერთად, სადაც ხანდაზმული ცოლ-ქმარი დახვდათ. მათ ეგონათ, რომ ჯარისკაცები მოკვლას უპირებდნენ და თავის გადასარჩენად ოქროს სამკაულები შესთავაზეს. ქართველი ბიჭებისთვის ეს შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა და შეეცადნენ დაერწმუნებინათ მოხუცები რომ არაფერს დაუშავებდნენ. მათი დახოცვა და გაძარცვა არც კი უფიქრიათ ქართველ ჯარისკაცებს მაშინ, როცა ქართულ სოფლებში შემოსულმა რუსულმა არმიამ ყველაფერი აიკლო და გადათელა.

მახარეს სახლშიც, საკვების მოსაძიებლად შესული შინდისელი გმირები საოცარ ადამიანურობას ამჟღავნებენ, არა მხოლოდ ბერიკაცის მიმართ, რომელიც მარტოდმარტო დარჩენილა შინ, არამედ მისი პირუტყვის მიმართაც. თავად გარდაუვალი სიკვდილის საფრთხის წინაშე მყოფი გეგა ომის ხმაურით შეშინებულ კურდღელზე ზრუნავს, ეცოდება, შიმშილით სიკვდილისთის არ ემეტება და გალიის კარს უღებს. ამ მებრძოლებს მგრძნობიარე, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე გულები აქვთ და ამიტომაც ვერ ეგუებიან მოცემულ რეალობას, ამიტომაც წირავენ თავს ომის ბოროტების წინააღმდეგ.

სოფელ შინდისთან მოულოდნელად შეჯახებულ მტერთან საოცარ გმირობასა და თავგანწირვას ავლენენ „ჩვიდმეტნის“ მთავარი გმირები. გიო, რომელსაც ჩაეძინა სამხედრო მანქანაში, სიზმრად საქართველოს ისტორიულ წარსულში მოგზაურობს, ხედავს ქართველთა თვალუწვდენელ ცხენოსან ლაშქარს, რომელიც დიდი ბრძოლიდან ბრუნდება გამარჯვებული. თვითონაც ცხენზეა ამხედრებული და წმინდა გიორგის გამოსახულებიანი დროშა უკავია ხელთ. სწორედ ამ ტკბილი სიზმრიდან აფხიზლებს მას

უეცრად გამოჩენილი რუსული არმია. სამშობლოთი გულანთებული ჩვიდმეტი ქართველი მებრძოლი გმირობის, თავგანწირვისა და მამაცობის საოცარ მაგალითს აჩვენებს მტერს. ამ გადამწყვეტ წუთებში პოულობს წინაპართა გმირობაზე ბავშვობიდან დაფიქრებული გიო პასუხს კითხვაზე, თუ როგორ წირავდნენ ქართველები უწინ სამშობლოსათვის თავს და მიდის დასკვნამდე, რომ „გადამწყვეტ მომენტში ყველა ქართველი ერთნაირი ხდება, მე ასე მგონია, ყველა ფიქრი გიქრება, მარტო ერთ წერტილს ხარ მიშტერებული, წერტილს კი არა ნათლის სვეტს და ის ნათლის სვეტი სამშობლოა“ (სოსიაშვილი, 2016: 178), - წერს ავტორი, რომელსაც ღრმად სწამს, რომ სწორედ ასეთია ქართული სულის ნამდვილი სახე, სწორედ ასეთი სულის წინაპრებიდან იღებს სათავეს ქართული გენი და ამიტომ შემოდის ისტორიული პარალელი მოთხრობაშიც.

ომის და ზოგადად ომის თანმდევი პროცესების ანარეკლი ძალზე მკაფიოა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში. იგი სულის სიღრმემდეა შეძრული ამ საერთო საზოგადოებრივ- ეროვნული ტრაგედიით. განსაკუთრებით ემოციურად გამოხატავს იგი ბავშვების სულიერ მდგომარეობას ომის პირობებში. მძიმე სურათს წარმოადგენს მოთხრობა „წერილი კაცობრიობას“, რომელშიც ავტორი პატარა, მშობლების გარეშე დარჩნილი ნატა ქართველიშვილის გულისნადებს აცნობს სამყაროს. მწერლის გულთან ძალზე ახლოს მისულა პაწაწინა დაობლებული გოგონას საშინელი ამბავი, რომლის ბავშვობასაც ომმა წერტილი დაუსვა. ნატა ქართველიშვილი ყველა იმ ბავშვის სახელით ითხოვს პასუხს მათ მიმართ განხორციელებულ საშინელებაზე, ვისაც „ბუდე დაუნგრიეს, ვისაც აღარც სახლი აქვს, აღარც კარი და დარჩა ეგრე უსახლკაროდ თავის სამშობლოში“(სოსიაშვილი, 2016: 57). გოგონას მშობლები დაბომბვის შედეგად დაეღუპა. მან ომის შესახებ მხოლოდ ზღაპრებიდან და ფილმებიდან იცოდა, ახლა კი რეალურა ნახა, თუ რა საშინელია იგი. დარჩა თავის ძმასთან - რეზოსთან ერთად ობლად პატარა გოგონა, რომელიც ხედავს მათ დანახვაზე როგორ იცრემლებიან უფროსები... იგი სამყაროში ყველას, ვინც კი ბავშვობის ფასი იცის, მოუწოდებს, რომ აღარ მოაწყონ ამგვარი ტრაგედია და აღარ დააობლონ პატარები.

გიორგი სოსიაშვილისათვის ომი და, უფრო კონკრეტულად - ქართულ-რუსული კონფლიქტი არა მხოლოდ სისხლის ღვრა, ქონების დაკარგვა, სიცოხლესთან გამოთხოვებაა. ესაა ურთიერთობების დაკარგვა, ორ მოძმე ერს შორის ჩატეხილი ხიდის

პრობლემა. ეს ნათესავებს, მეგობრებს შორის გავლებული სამანია, რომლის გადალახვა სიცოცხლისთვის საშიში გამხდარა. თავის ამ გულისტკივილს ავტორი ნათლად გამოკვეთს „მთვლემარე წლებში“. მთავარ გმირს სტუდენტობა მავთულხლართების მიღმა დარჩენილ ცხინვალში აქვს გატარებული. იქით დატოვა სიჭაბუკის რამდენიმე ბედნიერი წელი იმ ყველაფერთან ერთად, რაც მისი ცხოვრების განუყრელი ნაწილი გამხდარა, იმ ადამიანებთან ერთად, რომლებსაც მის გულში მკვიდრად დაუსადგურებიათ. მისთვის ძნელია ქართულ-რუსული კონფლიქტის გამწავავების ფონზე არ იფიქროს მასპინძელ ოჯახზე, სტუდენტობის წლებში მშობლიურივით რომ შეიტკბო და შეითვისა. ამიტომაც რისკავს იგი საზღვრის გადალახვას და „კოსტა ძიას“ და „ვარა ძალოს“ მოსანახულებლად მიდის ოსების კონტროლირებად ტერიტორიაზე. მიაბიჯებს ცხინვალის ქუჩაში, სადაც ერთი ადამიანიც კი არ ჩანს. ისმის მხოლოდ იმ ტყვიამფრქვევების ხმა, საიდანაც ოსები ქართული სოფლების მიმართულებით ისვრიან. მოულოდნელი სტუმრის მისვლამ შეაკრთო დიასახლისი, რადგან ვიზიტი სახიფათო იყო მისთვისაც და მასპინძლებისთვისაც... არანაკლებ საშიში იყო შინ დასაბრუნებელი გზაც. მთვარი გმირი აცნობიერებს, რომ დიდი ალბათობაა იმისა, მტრის ტყვიის სამიზნე გახდეს, თუმცა ღმერთზე მინდობილი შეუმჩნეველი რჩება ოსი მესაზღვრეებისთვის... მონატრებული ადამიანური სიყვარულისთვის თავგანწირვის მაგალითად გამოდგება ეს სიუჟეტი. სტუმარიც და მასპინძელიც გულის სიღრმეში ჩაკირულ ურთიერთსიყვარულს უფრთხილდებიან და ღმერთის იმედად ათევენ ღამეს.

ერთ-ერთი ყველაზე მძიმე სურათია მოთხრობა „აღსარება მტრის საფლავთან“, რომელშიც გადმოცემულია ახალგაზრდა ქართველი კაცის ტყვეობაში ყოფნის გაუსაძლისი მდგომარეობა. ანდრო ოსებს ჰყავთ დატყვევებული და „სადღეობო საკლავივით (სოსიაშვილი, 2016: 160)“ ხეზე მიბმული, ნაცემი, ნეკნებჩამტვრეული, დასისხლიანებული, ერთ ყლუპ წყალს დანატრებული. მის სანაცვლოდ გამოსასყიდს თუ არ მიიღებენ გამტაცებლები, ისე მოკლავენ, ხელიც არ აუკანკალდებათ. რაზე უნდა ფიქრობდეს, რას უნდა გრძნობდეს განიარაღებული და პატივაყრილი ტყვე, რომელსაც სიკვდილამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებს? მწერლის თვალთახედვის გარეთ არც ეს საკითხი რჩება. იგი საოცარი ექსპრესიულობითა და დამაჯერებლობით წარმოაჩენს გამტაცებელთა მსხვერპლის სულის

მოძრაობას. მწერალი ზედიწევნით მიჰყვება პერსონაჟის ფიქრებსა და განცდებს და გრძნობიერად ასხამს სიტყვის ყალიბში.

ანდრო გრძნობს, რომ მალე შეხვდება სიკვდილს. ხვდება, როგორი საზარელი სიკვდილით მოუწევს სიცოცხლესთან გამოთხოვება, სადღაც უნდა დაფლან ღორღიან მიწაში და შენდობასაც არავინ ეტყვის, რადგან „მტერს არავინ ეტყვის შენდობას“ (სოსიაშვილი, 2016: 159). ანდროსთვის, რომელსაც ქათამიც არ დაუკლავს თურმე და ცხოვრებას ყოველთვის გაფაქიზებული სულის თვალებით უყურებდა, შემზარავია იმის გააზრება, რომ ახლა იგი ვიღაცისთვის მტერია. მზე ძალუმად აჭერს მის დასისხლიანებულ სხეულზე. საშინელი და ტკივილამდე შემძვრელია მისი ყოფა. თით ქოს ყველა კოშმარული სიზმარი აუცხადდა. ანდრო იტანჯება არა მხოლოდ საკუთარი, არამედ თავისი ოჯახისწევრების სატკივარითაც; ფიქრობს დედაზე, რომელიც ეწამება დაკარგული შვილის ლოდინით, ორსულ ცოლზე, რომელსაც ასე ადრეულ ასაკში მოუწევს ქვრივის სახელი იტვირთოს და შვილზე, რომელიც ჯერ კიდევ ამ ქვეყნად მოვლენამდე დაობლდება. შეიძლება ითქვას, რომ ანდროს სიცოცხლესიკვდილზე უარესია.აუტანელია დატყვევებული კაცის მდგომარეობა, თუმცა მისთვის ყველაზე მტანჯველი წამების დასრულების გულის გამაწვრილებელი მოლოდინია. ყველაფერს თავისი ახსნა აქვს, ყოველივეს გააჩნია მიზეზი, მიზანი და შედეგი. ტყვეც,ხედავს რა თავის უმეწო მდგომარეობას, არ სურს უმიზნოდ, უაზროდ სიკვდილი.შინაგანი წამებაა ყველაზე ძნელად მოსათმენი, რომელსაც თუ სათანადო საყრდენი არ მოუძებნა ადამიანმა, შესაძლოა მისი სულის სიმტკიცე გაიბზაროს და ღირსეული ადამიანისაგან უცებ მხოლოდ მხდალი და უპრინციპო არსება შეგვრჩეს ხელში, ან პირიქით, სრულიად არაფრით გამორჩეული ადამიანისგან გმირი დაიბადოს, რამდენადაც კრიტიკული ვითრება სულიერი ტრანსფორმაციის მაპროვიცირებელია ხშირ შემთხვევაში. ასე ხდება ანდროს შემთხვევაში, რომელსაც მალე უნათდება გონება, არ ეცემა სულით და ხვდება, რომ იმ ღირსეულ წინაპართა სახელების გვერდით დადგება მისი ხსოვნაც, რომლებმაც სამშობლოს სამსახურს შესწირეს თავი. აღმოაჩენს, რომ იმაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს, როდესაც მშობელ ხალხსა და მამულს აჩუქებ ღვთისგან ნაბოძებ სიცოცხლეს. ამით მდიდრდება ერის სულიერი საზრდო, რომელსაც ჟამიდან ჟამამდე მარაგის შევსება ესაჭიროება, რათა არ შემოაკლდეს იგი ხალხს. წარსულიდან მომზირალი გმირების

არსებობა უფრო მტკიცედ რომ ირწმუნოს ახალმა თაობამ, თანამედროვეობასაც სჭირდება გმირები. „ერის ცხოვრებაში დაცემის ჟამი მაშინ დგება, როცა დიდი წინაპრების მიერ დანთებული კელაპტრები ჩაიბჟუტება და ჩასაქრობად არის განწირული, ჩვენი დროის გმირების თვგანწირვა აძლიერებს იმ კელაპტრების შუქს, თორემ ერთხელ და სამუდამოდ ჩაქრება და ისეთი დღე დაგვიდგება, საკუთრ თავსა ვეღარ ვიცნობთ“ (სოსიაშვილი, 2016: 162), - ასე ჟღერს ანდროს პატრიოტული სულის ამოძახილი და მწერლის უმთავრესი სათქმელი აღნიშნულ მოთხრობაში. ავტორი მკაფიოდ ასახელებს იმ ზნეობრივ იდეალებს, რომლებიც ყველა დროსა და ეპოქაში ფასდაუდებელ სამსახურს უწევს სახელმწიფოს მთლიანობას და ერის სულიერ ამაღლებას.

მოთხრობაში მწერალი წარმოაჩენეს არამხოლოდ გმირს, არამედ - ანტიგმირებსაც, რომლებიც ბოროტად იყენებენ ომის პირობეში შექმნილი ხალხის მძიმე მდგომარეობას. ესენი ის გამტაცებლები არიან, რომლებიც დაბეჩავებულ ხალხს ატყვევებენ და მათი გამოსასყიდის ხარჯზე მდიდრდებიან, სასურველი თანხის ვერ მიღების შემთხვევაში კი მათ წარმოუდგენელი სისასტიკით კლავენ. განსაკუთრებით ნიშანდობლივია დედით ქართველი ოსი „ტარზანას“ სახე, რომელსაც გატაცებული ადამიანების გამოსასყიდი ფულით შეუძენია ცხოვრება - ქონება. მნიშვნელოვანია, რომ „ტარზანა“ ნახევრად ოსია, ნახევრად ქართველი. იგი, როგორც ანტიგმირი, თავის შერეულ ეთნიკურობაში ალეგორიულად ასახავს ოსებსა და ქართველებს შორის მობინადრე მოღალატე სულის მქონე ადამიანებს, რომლებიც არას დაგიდევენ არც ღირსებას, არც ადამიანობას, არც შებრალებას, ეროვნულ ღირებულებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. სწორედ ამიტომ, „ტარზანას“ ეროვნება არ გააჩნია, რეალურად ის არც ოსია, არც ქართველი, მის ორმაგ წარმომავლობაზე ხაზგასმით, გიორგი სოსიაშვილი ამბობს, რომ ბოროტებას ეროვნება არ აქვს. ასეთები თავიანთი ცოდვილი ხელით ანდროსავით ასამარებენ ორ მოძმე ერს შორის არსებულ ყველა კავშირს და ძირს უთხრიან მათი ერთსულოვნების იდეას.

გადამწყვეტ მომენტში ადამიანთა გმირებად გარდასახვის მაგალითები არიან გაბრიელი, ნუგზარი და ზაზა მოთხრობიდან „შიშველი ჯარისკაცები“, რომლებიც ოსმა ექსტრემისტებმა ლიახვის ხეებაში უღრან ტყეში ხეზე მიბმულნი ცოცხლად დაწვეს. მწერალი ნათლად წარმოაჩენს სიკვდილის პირისპირ მყოფ პერსონაჟთა სულიერ მდგომარეობას. სანამ მტრები კოცონს აანთებენ, დატყვევებულთა გონებაში მრავალი აზრი

მონაცვლეობს, მათი შინაგანი დაძაბულობა პიკს აღწევს, ისინი ხომ განიარაღებულნი, ხელფეხშეკრულნი არიან და ყოველგვარი თავდაცვის გარეშე მოუწევთ სიკვდილთან შეყრა. ამ დროს გაბრიელს თევდორე მღვდელი, ქეთევან წამებული, პაატა სააკაძე ახსენდება. მისთვის აქამდე თითქოს ძნელი წარმოსადგენი იყო ქართველთა მიერ გმირობის ჩადენის შესაძლებლობა, თუმცა იცოდა თავდადებული წინაპრების შესახებ და მათი სადღეგრძელო არაერთხელ შეუსვამს; ახლა კი თავად დადგა იმ რეალობის წინაშე, როდესაც შეუძლია ადამიანს გამოავლინოს ვაჟკაცობა ან სიმხდალე, ახლა ჩაწვდა წარსული დროის წამებულთა განცდებს, რომლებიც ეუფლებოდათ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში და თვითონაც განიმსჭვალა მათი სულისკვეთებით, სიკვდილის შიში გაუქრა, უფრო შეუპოვარი და უდრეკი გახდა,ვიდრე იყო. ასევე არიან მისი მეგობრებიც. გაბრიელს ბოევიკებმა საქართველოს დროშა წინ დაუგდეს და უბრძანეს ფეხი დაედგა მასზე, თუმცა მან არ შეასრულა მტრის მოთხოვნა; მისი ეს ქმედება იმ წინაპრების ტოლფასია, რომლებმაც სამშობლო ფარითა და ხმლით დაიცვეს. მწერალსაც ამის წარმოჩენა სურს, სამშობლოს ერთგულება და დაცვა ადამიანს ყოველთვის შეუძლია კრიტიკულ მომენტში, მიუხედავად იმისა, ხელში იარაღი აქვს თუ არა, შუაგულ ბრძოლის ველზეა თუ უღრან ტყეში ხელფეხგაკოჭილი.

ამავე მოთხრობაში მწერალი იმ ქართველთა სახეებსაც გვიხატავს, რომლებმაც გადამწყვეტ მომენტში სიმხდალე გამოავლინეს და სახელოვან სიკვდილს ნაძრახი სიცოცხლე ამჯობინეს. ეს ის ქართველი ჯარისკაცები არიან, რომლებიც ოსებს დაუტყვევებიათ და საცვლისამარა საჯაროდ გაუყვანიათ მოედანზე. ხალხის ბრბო შეურაცხყოფას აყენებს მათ, დასცინის, აგნებს ლანძღავს და, რაც მთავარია, ეს ყოველივე ტელევიზიით გადაიცემა. ისინი კი ხმას არ იღებენ, სიკვდილის შიშით ვერ ბედავენ შეწინააღმდეგებას. ოსები ტყვეებს უბრძანებენ დაჩოქებას და დამფრთხალი ჯარისკაცები უთქმელად ასრულებენ მტრის სურვილს და ასე ინარჩუნებენ სიცოცხლეს. მწერალი ამ სიუჟეტში გამოკვეთს ათმეთაურის სახეს, რომელსაც ადარდებს არა ის რომ ღირსება შეულახეს, არამედ - ახლობლები რომ ნახავენ მას ასეთ მდგომარეობაში. მასაც და მასთან მყოფთაც ხომ შეეძლოთ თავის გამოდება, ღირსების დაცვა, რითაც სამშობლოს სამსახურს გაუწევდნენ და თავიანთი ერის გმირულ სულისკვეთებას თავადაც დაადასტურებდნენ გმირი წინაპრების მსგავსად; მაგრამ ისინი არ თმობენ სიცოცხლეს და მზად არიან

დამცირების ფასად შეინარჩუნონ იგი, მაშინ როცა სამშობლოს ერთგულებასა და ღირსების დაცვას სამსახურიც ავალდებულებს, მაშინ, როცა ხეზე მიბმული ქართველი ბიჭები, რომლებიც ჯარისკაცები არც იყვნენ და ცოცხლად იწვოდნენ უღრან ტყეში, ბოლო ამოსუნთქვამდე „შავლეგო“-ს მღეროდნენ. მწერლის სათქმელიც სწორედ ისაა, რომ ასეთი მხდალი ადამიანების იმედად ვერ იქნება სამშობლო. მათ სიკვდილის შიშით ვერ გაწირეს თავი და მტერს დაჩოქილი ქართველის სახე აჩვენეს. ავტორისთვის მათი ქმედება იმ მოღალატეთა საქციელს უდრის, რომლებმაც საქართველო ყველაზე რთულ მომენტში გაწირეს.

გმირ წინაპრებსა და სამშობლოს არ ღალატობენ დათა და მალალა, მოხუცი ცოლ-ქმარი მოთხრობიდან „იავნანა მკვდარ ქალაქში“, რომლებმაც არ დატოვეს ხალხისგან დაცლილი ცხინვალიდა სიცოცხლის ფასად დაიცვეს სკუთარი კარ-მიდამოც, წინაპართა ძვლებიც, რომლებიც მათი სახლის მარანში ინახებოდა და თავიანთი წილი სამშობლოც. ასევე დიდ გამბედაობას ავლენს ამავე მოთხრობის პერსონაჟი ოსი ქალი ელიზა, რომლის სისხლში ქართულიც ურევია. იგი, მიუხედავად იმისა, რომ საშიშია ქართველებთან ყოველგვარი ურთიერთობა, ზრუნავს მოხუცებზე, ბოლოს კი, როცა შეიტყობს რომ ოსი „ბოევიკები“ მათ დახოცვას უპირებენ, გეგმავს ცოლ-ქმრის მალულად გაპარებას ქალაქიდან. ამ მოთხრობით მწერალი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ არ აქვს მნიშვნელობა ადამიანი ბრძოლის ველზეა თუ საკუთარ სახლში, აქვს იარაღი თუ ცარიელი ხელებით უწევს მტერთან შეხვედრა, მოხუცია თუ ახალგაზრდული სისხლი უჩქეფს ძარღვებში, გადამწყვეტ მომენტში ყველას აქვს საკუთარი ღირსებისა და სამშობლოს დაცვის ხელსაყრელი მომენტი; პიროვნებაზეა დამოკიდებული გმირის გვირგვინს დაიდგამს თუ მოღალატის სახელით გააგრძელებს მშობლიური ქვეყნის მიწაზე არსებობას.

მოთხრობა „იოანე“ ჟამურის ხეობაში განმარტოებით მოღვაწე ქართველ ბერს გვაცნობს, რომლის სახით მწერალი უფლისა და სამშობლოს სამსახურში მუხლჩაუხრელად მშრომელი სასულიერო პირის პორტრეტს ხატავს. განმაცვიფრებელია ამ მამულისთვის გულანთებული ბერის პატრიოტული სულისკვეთება, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუჯდეს, არ ემორჩილება რუსი სამხედროების მოთხოვნას, აიღოს მის მიერ სალოცავთან აღმართული ჯვარი. იგი გულმტკივნეულად განიცდის სამშობლოს განსაცდელს, ხალხის მიერ საკუთარი

სახლებიდან გახიზვნას. მარტოდმარტო იმყოფება მიტოვებულ სოფელში და არ აშინებს რუსი ჯარისკაცების სიახლოვე, ჩვეულად განაგრძობს ბერულ ცხოვრებას და სამშობლოსთვის ლოცვას. მისთვის უცხოა სიმხდალე და მტრის წინაშე მორჩილება, მხურვალე ლოცვით აძლიერებს თავის ერს და სწამს, რომ ქართველი ხალხი ღვთის შეწევნით დააღწევს თავს მტრის ძალმომრეობას.

ქართლის სოფლის მაცხოვრებელი ალალ-მართალი ადამიანების პორტრეტებია შექმნილი მწერლის მიერ „ლამპიონების“ მთავარი მოქმედი პირების სახით. ბაჩანა და „მაღალ-დაბალი“ თენგიზა თანშეზრდილი თანასოფლელები არიან, დღენიადაგ ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გამზიარებლები. ომის შემდეგ, იმის გამო, რომ მათი სოფელი რუსების მიერ გავლებული მავთულხლართის სიახლოვესაა, ხალხი ნელ-ნელა ტოვებს მას. ეს კი ძალზე მტკივნეულია ბაჩანასა და მაღალ-დაბალისთვის. სოფლის დაცლასთან ერთად, მათ სულში მარტოობის მტკივნეული განცდა მძაფრდება. ამ პერსონაჟების სახით მწერალი ქართული სოფლების ზოგად სურათს წარმოადგენს, რომლებიც გაუკაცურდა, ცარიელი სახლების ამარა დარჩა. ეს სამწუხარო რეალობა კი მტერს ახარებს, რომელიც მუდმივად ისწრაფვის ეკლიანი მავთულხლართი უფრო მეტად გადმოწიოს თავის სასარგებლოდ. საზღვრისპირა ტერიტორიებზე მოსახლეობის მუდმივი არსებობობა იგივე ბრძოლაა საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად და მტრის დაუმორჩილებლობაა, ხოლო სოფლების მიტოვება სამშობლოს უბრძოლველად დათმობის ტოლფასია.

მოთხრობაში „მძახლები“ ქართული და ოსური ოჯახების ნათესაური დაკავშირება ხდება ოსი გოგონას მავთულხლართებში გამოძრომის შედეგად. აქ წარმოჩენილია სიყვარულისათვის ბრძოლის ხიბლი და საოცარი ძალა, რომელსაც ეკლიანი მავთულხლართი ვერაფერს აკლებს. ეს ამბავი დრამატულიცაა, სევდიანიც და ამაღლებულიც. ავტორი კი ყოველივე ამას მაღალმხატვრული ოსტატობით აქცევს ლიტერატურულ ქმნილებად. მკვლევარი გიორგი ხორბალაძე ყურადღებას ამახვილებს მწერლის მიერ მიგნებულ ალეგორიულ ფრაზაზე, რომელიც გულწრფელი სიყვარულისა და მეგობრობის ძალმოსილებას ხატოვნად ასახავს: „ალადასტურით სავსე ჭიქაში გაძვრა მზის სხივი“ (სოსიაშვილი, 2016: 250), „ჭიქის ორივე მხარეს ეფინება ნათელი და ადვილი წარმოსადგენია რა კეთილშობილი ფერით ააპარპალებს ჭიქაში მოქცეულ ალადასტურს.

იქნება, ალადასტური საქართველოა, ჭიქა - მავთულხლართი, გამჭოლი სხივი კი უტყუარი ნიშანი თბილი და მზიანი მერმისისა. აკი ეუბნება კიდეც დანაღვლიანებულ მძახალს ჯაგა: „მალე ჩავიხუტებთ ერთმანეთს, მალე. ...ჩვენი გამარჯვებისა იყვეს" - წერს გიორგი ხორბალაძე.

განიხილავს რა აღნიშნულ ნაწარმოებს მოთხრობა „ბაღებთან" ერთად, მკვლევარს მიაჩნია, რომ „ბაღები" „მძახლების" ერთგვარი გაგრძელებაა. აქაც ვითარდება ოსებსა და ქართველებს შორის სიყვარულ-მეგობრობის თემა. საზღვრის მონაცვლეობის გამო ჯერ ოსი გაბის ბაღი აღმოჩნდება სამანს აქეთ, შემდეგ კი ქართველი ნიკოსი - სამანს იქით. ორივე მეგობარი ერთმანეთის ბაღებზე უანგარო ზრუნვით უდასტურებს ერთურთს ძმობასა და თნადგომას. თუმცა ნიკო და გაბი არ არიან ერთი და იგივე ეროვნების წარმომადგენლები, რუსებისგანაც დიდი საფრთხეა მოსალოდნელი, მაგრამ მათი გულწრფელი მეგობრობისათვის მტრის მიერ გავლებული ღობე, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს. ისინი, მიუხედავად შექმნილი დაძაბული ვითარებისა, მაინც არ კარგავენ ერთმანეთს. გიორგი ხორბალაძის თვალსაზრისით, „მძახლები" და „ბაღები" წარმოაჩენს მავთულხლართის ორივე მხარეს მყოფი საღადმოაზროვნე ადამიანების სულიერ მდგომარეობასა და განწყობას, რომელთათვისაც რუსების მიერ გავლებული ეკლიანი ღობე მხოლოდ დროის ფაქტორია.

მწერლის მიერ შექმნილ ლიტერატურულ პერსონაჟთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა მოთხრობის - „ხილვა მაყვლოვანში" მთავარი გმირი მეუფე, რომლის სახელიც არაა ტექსტში ნახსენები. დიდი ალბათობით მასში ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის წინამძღვარი უნდა მოიაზრებოდეს. მოთხრობას ლაიტმოტივად გასდევს ღვთის რწმენაზე დაფუძნებული პატრიოტიზმი და ოპტიმიზმი, რომლითაცაა აღსავსე მღვდელმთავარი. ნაწარმოების სიუჟეტიდან ვიგებთ, რომ ზიარება უნდა დაწყებულიყო, როცა სოფელი დაიბომბა. შეშინებული მღვდლები და ხალხი დაიფანტა, მეუფესთან მხოლოდ ერთი დიაკვანიღა დარჩა. საინტერესოა ამ მძიმე წუთებში მეუფის სულიერი მდგომარეობა. იგი შეძრულია მომხდარით, დიაკვანს უსვამს კითხვებს, თუ რა მოხდა, სად წავიდა ხალხი, თუმცა თვითონაც იქ იყო და ყოველივე საკუთარი თვალით ნახა. ტაძარიცა და სამრეკლოც არა თუ არ დანგრეულა, არამედ - სასწაულებრივად გადაურჩა მცირე დაზიანებასაც კი.

მეუფე და დიაკვანი ტყეში მიიკვლევენ გზას, სოფლის დაბომბვა კი გრძელდება. მეუფისთვის ნათელია იმ ხალხის მდგომარეობა, რომელთა თავზეც ცვივა მომაკვდინებელი ჭურვები და მწუხარებს. იგი ამბობს, რომ დიდი გამოცდის ჩაბარება უწევს ქართველ ხალხს და დარწმუნებულია იმაში, რომ წარმატებით გაუმკლავდება ერი მას. მეუფეს ამის თქმის საფუძველს ძნელბედობით, მაგრამ გმირობის, თავგანწირვისა და პატრიოტიზმის საოცარი მაგალითებით აღსავსე საქართველოს ისტორია აძლევს. იგი ღვთის სასოებითაა განმსჭვალული და წმინდა გიორგი ეიმედება ვერაგი მტრის დასაძლევად. მეუფე ლოცვად დგება. ცოტა ხანში ხილვას ხედავს - მთვარანგელოზი მიუთითებს ძველ სალოცავზე, სადაც მან ლოცვა უნდა აღავლინოს,შემდეგ კი გაიგონებს პატრიარქის მობრძანების მაუწყებელ ზარის რეკვას...

ქართველი ერის ისტორიას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ არაერთ მძიმე განსადელში, როცა მკლავი და იარაღი ვერაფერს ხდებოდა, ხსნა ზეციდან ეძლეოდა საქართველოს. მეუფეც ამგვარი ხსნის მოლოდინშია. ამგვარივე გადარჩენა ეიმედება მწერალსაც. მოთხრობაში სიმბოლოებითაა გამოსახული საქართველს დღევანდელი მდგომარეობა და ამ რთული ვითარებიდან გამოსავალიც. მთავარანგელოზის მიერ მითითებული ეკალბარდებშემოხვეული ტაძარი მტრის მიერ ეკლიანი მავთულხლართით შემოსაზღვრულ საქართველოს ალეგორიულად ასახავს. ნანგრევებადაა ქცეული საყდარი და მხოლოდ სასწაულით შეიძლება მიხვდეს ადამიანი, რომ აქ ოდესღაც სალოცავი იყო. სწორედ აქედან უნდა შესწიროს უზენაესს მეუფემ ლოცვა. სწორედ აქ ანთია კელაპტრები, რომლებიც არ იწვის; ისინი ქართველთა მარადიული არსებობის სიმბოლოა, ხოლო მარადიული არსებობა მხოლოდ ღვთის სახლშია შესაძლებელი, ღვთის მცნებებსა და ზნეობრივ იდეალებზე დაფუძნებული ცხოვრებითაა მიღწევადი. ასე ცხოვრობდნენ ჩვენი თვდადებული წინაპრები. ზეციდან მოსული მადლით „ჩვენს სულში ისეთი ტაძარია, ისეთი კედლებია ამოყვანილი, ურის რომ შემოჰკრავ, კი არ ინგრევა, უფრო მტკიცე ხდება“ (სოსიაშვილი, 2016: 87).ერს ერთიანობა და ერთსულოვნება დღეს ისევე ეჭირვება, როგორც ძველად. ავტორმა კარგად იცის, რომ შემთხვევით არაფერი ხდება. აგვისტოს განსაცდელმა თავი უნდა მოუყაროს ჩვენში იმ ღირებულებებსა და ფასეულობებს, რომლებიც თითქოს შემოაკლდა ქართველ ხალხს. მეუფისა და მწერლის სულისკვეთება იდენტურია - ჩვენი ერი უნდა მიუბრუნდეს იმ გზას, რომლითაც წინაპრები მოდიოდნენ. თუკი ამას

შევძლებთ, იქნებ ისევე მალე გავიგონოთ სამანს იქიდან ორი მოძმე ეთნოსის - აფხაზებისა და ოსების შინ დაბრუნების მაუწყებელი ზარების ხმა, როგორც ნანგრევებად ქცეულ სალოცავში მდუმარედ მლოცველ მეუფეს მოესმა პატრიარქის ჩამობრძანებით ახმაიანებული სამრეკლოდან.უფლის რწმენა და ერთმანეთის სიყვარული გადაარჩენს ქართველ ხალხსაც და მის დაკარგულ მოძმეთაც.მწერლის მიერ ჩაქსოვილი ეს აზრი იკითხება მოთხრობაში „ხილვა მაყვლოვანში“, და ვფიქრობთ, სწორედ სულიერების როლია გამოკვეთილი განსაკუთრებული მნიშვნელობით ორი მეუფის შემოყვანით შემოქმედებაში, რომლებიც თავ-თავის ეპარქიას სულიერად ამაგრებენ მძიმე განსაცდელის ჟამს. მწერალი ხატავს ადამიანის სულიერი მდგომარეობის სხვადასხვა რაკურსებს და მათ შენაკადებივით უერთებს უმთავრეს მდინარებას - უფლის გზას, სადაც ხსნა ეგულება მწერალს.

თავი IV. ომის შემდგომი ვითარების სურათი კონფლიქტურ რეგიონებში

აგვისტოს ომგამოვლილი ქართლი მძიმე სურათებითაა დახატული გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში. ავტორი პერსონაჟთა სულიერ ტრაგიზმს დაბომბილი, დარბეული და გავერანებული საზღვრისპირა სოფლების ფონზე აშუქებს და ქმნის ომის შედეგების რეალურსა და შემაძრწუნებელ პეიზაჟს. მისთვის მატერიალურ ნივთებსაც ისეთივე დიდმნიშვნელოვანი, თუმცა არამატერიალური დატვირთვა აქვს, როგორც ომით გატანჯული ხალხის სულიერსა თუ ფიზიკურ ტკივილებს. საზღვრისპირა სოფელ დიცის მკვიდრი მწერლისთვის, რომელსაც ყველა და ყველაფერი უყვარს, რაც მშობლიურ მხარეს უკავშირდება, რთულია ქართულ-რუსული ომის შედეგებდაჩნეული ქართლის სანახების „მოთვალმზერება“. არა მხოლოდ სოფლები და იქ არსებული მატერიალური ქონებაა მტრის მიერ შემუსვრილი, არამედ მათზე არანაკლებაა განადგურებული ომგამოვლილი ქართველების გულები, განურჩევლად იმისა, დაბრუნდნენ თუ არა მშობლიურ კერაზე. ომის შედეგები სტკივათ დაბრუნებულებსაც და არდაბრუნებულებსაც. ავტორი ამ ტრაგიკულ შეგრძნებებსაც ემოციურად და ექსპრესიულად აცხადებს თავის ტექსტებში.

პირველი, რაცყურადღებას იპყრობს, ომის შემდგომ შინ დაბრუნებულთა სიხარულია. ამას თავად ავტორი განიცდის, რამეთუ მანაც გამოიარა უცხო ჭერქვეშ ხიზნობა. მასში სიხარულსა და სიცოცხლის განახლების გრძნობას იწვევს მშობლიური სოფლის კვლავ აფუსფუსება და ახმიანება. ისიც და თავისი თანასოფლელებიც მონატრებული „სისხლიერებივით“ ეალერსებიან მშობლიურ კარ-მიდამოს. თუმცა მათი სიხარული არასრულყოფილი, გაბზარულია, რადგანაც ახსოვთ, რომ ბევრ ქართველს არ ეღირსა ჯერჯერობით შინ დაბრუნების ბედნიერება. მწერალში თანაგრძნობა იღვიძებს ჯერაც ლტოლვილის სტატუსით უცხოობაში მყოფი თანამემამულეების მიმართ, რომლებიც საკუთარ კერაზე დაბრუნების ლოდინით ითვლიან წუთისოფლის დღეებს:„რაღაცით მენანება ჩემთვის ეს სიხარული, ეს სიამოვნება, რასაც აქ განვიცდი... ნეტა იმათთვისაც მიმაცემინა, იმ ადამიანების სახეზეც დამანახა მშობლიურ სოფელში დაბრუნებით გამოწვეული აღტაცება, ვინც ჯერ ისევ დაბრუნების მოლოდინშია“ (სოსიაშვილი, 2016: 55).

სიცოცხლით სავსეა ხალხით კვლავ ავსებულ სოფელში ალიონი. მამლები განთიადს ხმამაღალი ყივილით ეგებებიან. „მავთულხლართის“ მამალს ყივილის ძალაც აღარ შესწევს, რომელიც ალეგორიულად სიცოცხლეწართმეული სოფლის სიმბოლოდაც მოიაზრება, „2008 წლის შვებულებაში“ კი ამ ფრინველის მეშვეობით მწერალი ომგამოვლილი ქართული სოფლის სიცოცხლის ძარღვის ამოძრავებას გვაუწყებს. მამლის ყივილი იმიტომაა ასეთი მჭექარე, რომ ადამიანების სიახლოვეს გრძნობენ, რომელთა გარეშე უფასურდება სოფელიც და იქ გათენებული დილაც.

ამ ხალასი სურათის ფონზე მწერალს მოთხრობაში კონტრასტი შემოაქვს. ესაა ახალგავლებულ საზღვარს იქით დარჩენილი გადამწვარი, დანგრეული და გაუკაცურებული ნასოფლარები საიდანაც სიცოცხლის მაუწყებელი ხმები არ ისმის და, რომლებიც ისეთივე უსიხარულოა, როგორც ერთ დროს იქ მცხოვრებთა ომის ტრაგედიით ატკივებული გულები.

სოფლების გაუდაბურებას ადამიანებზე არანაკლებ მტკივნეულად განიცდიან ცხოველები. ეს განაკუთრებით კარგად წარმოაჩინა მწერალმა მოთხრობით „ის, რაც ზღაპრებში ხდება...“ მისი მთავარი პერსონაჟი ვანკაანთ ქოფაკია, რომელიც ომმა პატრონებს დააცილა. მთელ სოფელში არა მხოლოდ ადამიანები, ერთი ძაღლის ჭაჭანებაც არაა. ხალხი ომმა გააქცია, ცხოველებს კი შიმშილმა მოუღო ბოლო. მურასთვისაც აუტანელია ნასოფლარის ყურება, უკაცური სახლები. ძლივს გაატარა ერთი ზამთარი საბრალო ძაღლმა, რომელიც სიცივეზე მეტად უადამიანობამ გააწვალა. გაზაფხულზე მცირე ხნით მერცხლები გამოჩნდნენ, მურას გაეხარდა ცოცხალი არსებების კვლავ დანახვა, თუმცა მისი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, გადამწვარი სახლები ვეღარ იცნეს და გაფრინდნენ. მურამ დიდ ხნს ვეღარ გაუძლო მარტოობას, ლიახვის ნაპირების გაჰყვა და ყველასათვის მოულოდნელად პატრონები იპოვა.

აღნიშნული მოთხრობით მწერალი ცდილობს გვაჩვენოს, რომ ადამიანების გარეშე დარჩენილ სოფელში ცხოველებიც კი აღარ ჩერდებიან. ნაომარ ნასახლარებს შორის ძაღლს თავისი ფუნქცია აქვს დაკარგული, რაღას უნდა უდარჯოს, დასაცავი აღარაფერია დამწვარ და გაძარცვულ საცხოვრებლებში. მართალია ვანკაანთ ქოფაკი არ ღალატობს ჩვეულებას და, უპატრონოდ დარჩენილი, ხანგრძლივად აგრძელებს სამკვიდროს „დაცვას“, მაგრამ ხვდება, რომ ამაოა მისი შრომა და ისიც ტოვებს მშობლიურ სოფელს. ის უმცირესი ნიშანიც

კი, რაც იქ სიცოცხლის მაუწყებლად მოჩანდა, გაქრა. უადამიანო სახლებში დასაცავი არავინ და არაფერია და ძაღლი თავისი პატრონებივით ტოვებს ნასახლარებს. გაზაფხულის მახარობელ მერცხლებსაც გული არ უჩერდებათ იქ სადაც სიცოცხლის ნიშან-წყალი აღარ იგრძნობა დამიფრინავენ უკანმოუხედავად. არაერთ ქართულ სოფელში შექმნა ომმა ამგვარი ვითარება. უადამიანოდაა დარჩენილი ერთ დროს გაღვივებული მრავალი კერა, მაშინ, როცა იქიდან დევნილი ხალხი იძულებულია უცხო გარემოს შეეგუოს, იკმაროს ის, რაც, როგორც დაზარალებულს მიუღია დახმარების სახით და ყოველდღე ნაღვლიანი თვალებით უყუროს შორიდან მომზირალ მთებს, რომელთა მიღმა მონატრებული სანახებია.

ძაღლი არაერთგან ჰყავს მწერალს გამოყვანილი გაუდაბურებული და მიტოვებული სოფლების მდგომარეობის წარმოსაჩენად. შეიძლება ითქვას, რომ გიორგი სოსიაშვილმა ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა ძაღლისა და ომის ერთიანი თემა, რაც იმით არის საინტერეო, რომ ავტორმა ძაღლის, როგორც ადამიანის ყველაზე ახლო მეგობრის შინაგანი სამყაროს გახსნა შესთავაზა მკითხველს და მისი საშუალებით ომის რეალობაში აღმოჩენილი სულიერი არსების მიკერძოებისაგან დაწმენდილი განცდები ასახა. მოთხრობაში „2008 წლის შვებულება“ მთხრობელის ოთხფეხა მეგობარი იმდენად განიცდის პატრონების გაუჩინარებას, რომ აულაგებლად დატოვებული მაგიდიდან, უკიდურესად მშიერიც კი ლუკმას არ ეკარება, ვიდრე ისევ არ დაინახავს პატრონთ, რომლებსაც ცრემლით ავსებული თვალებით ეგებება.

მოთხრობაში „ლომა, თაზო და ერთ დროს უთვისტომო რექსი“, მწერლის მიერ ამეტყველებული ოკუპანტების ციმბირული ნაგაზის შინაგანი სამყაროა დახატული, რომლისთვისაც აუტანელია რუს ჯარისკაც პატრონებთან ყოფნა. იგი „უსიტყვოდ“ გამოჰყვა საზღვრისპირა სოფელში მცხოვრებ ქართველ ბიჭს თაზოს, რომელშიც მან პატრონი დაინახა, განსხვავებით მათგან, ვისთანაც სიცოცხლის განვლილი წლები გაატარა. ბიჭმა მას რექსი დაარქვა, შინ წაიყვანა და თვის ძაღლს ლომას „გააცნო“. ერთ დროს უთვისტომო რექსის გაპერსონაჟებით, მწერალი ალეგორიულად მიუთითებს სამანს იქით მცხოვრები მოძმე ერის მდგომარეობაზე, რომელიც აგრესორში მფარველს ხედავს, ხოლო მავთულხლართის აქეთ მყოფ რეალურ მოკეთეს ვერ ამჩნევს, მტრის სატყუარასაა წამოგებული და მის ხელში ბრმა იარაღად ქცეული. იგი ქართველებთან შერიგების

შემთხვევაში ისევე იპოვის ნამდვილ მოყვარესა და მოკავშირეს, როგორც ოკუპანტების ძაღლმა იპოვა მავთულხლართის აქეთ ქართულ ოჯახში მყუდრო სამყოფელი.

მწერალი იმ ბავშვის განცდებსაც გადმოგვცემს, რომელიც ომის შედეგად იძულებით მოსწყდა მშობლიურ კერას. უცხოობაში ყოფნას პატარა განსაკუთრებით აღდგომის დღესასწაულზე განიცდის. გასულ წელს თავის ტოლ-მეგობრებთან ერთად ჭონაზე დადიოდა, ნაირ-ნაირი ლექსებით ჩამოუვლიდნენ ბავშვები სოფელს და წითელ კვერცხებს აგროვებდნენ, შემდეგ მეგობრულად იყოფდნენ მათ და სადღესასწაულო სიხარულსაც თანაბრად და სიხარულით იზიარებდნენ. ახლა კი აღარც თავის სოფელშია, აღარც მეგობრები ჰყავს გვერდით და აღარც ჭონაზე მიდის კვერცხების შესაგროვებლად. ზის ფანჯარასთან მდუმარე და თვალცრემლიანი და იმ მთებისკენ იცქირება, რომელთა მიღმა მშობლიური სოფელი და მასთან ერთად ბავშვობაც დატოვა. მწერალი სწორედ მის სულში იხედება და პატარა ნიკას გამოუთქმელ სევდას თავად აცნობს მკითხველს. ნიკას ლიტერატურული სახის შექმნით ავტორი ყველა იმ ბავშვის სევდას წარმოაჩენს, რომლებსაც 2008 წლის აგვისტოს ომის გამო ცხოვრების კარდინალური შეცვლა მოუხდათ. ახლა მათთვის აღდგომაც აღარაა ისეთი, როგორიც ძველად, მშობლიურ სოფელში, აღარც შობა, აღარც ახალი წელი... ბავშვებმა თავიანთი ცხოვრების ძალზე ადრეულ ეტაპზე გამოსცადეს ომის საშინელება და ეს მძიმე გამოცდილება დიდ იარად აისახა მათ სულიერ სამყაროში.

ქართულ ლიტერატურაში ალბათ ძნელად თუ მოიპოვება თხზულება, რომელშიც გარდაცვლილი ადამინის განცდებია ასახული. გიორგი სოსიაშვილი ამ მხრივაც ავლენს მაღალი მწერლური ოსტატობისა და ადამიანთა სულიერი მდგომარეობის ამოცნობის ნიჭს. ძლიერი ექსპრესიულობითა და ტრაგიზმითაა გაჯერებული მისი მოთრობები „ორმოცი წამი“ და „უცნობი ჯარისკაცი 00098076“, რომლებშიც გარდაცვლილი ადამიანების სულები მეტყველებენ და თავიანთ შინაგან ტკივილს გამოხატავენ.

„ორმოცი წამი“ მოგვითხრობს დევნილობაში გარდაცვლილი ახალგაზრდა კაცის შესახებ, რომელსაც სულთა საუფლოში მშობლიური კერის მონატრება მიაქვს. მეგობრები მას უკანასკნელ სურვილს უსრულებენ და ოკუპირებული სოფლიდან ორიოდე მუჭა მიწის ჩამოსატანად მიდიან კონფლიქტის ზონაში. ნაწარმოებში გადმოცემულია განსვენებულის დედის მწუხარება და მეგობრების გულწრფელი სევდა გარდაცვლილის გამო. თუმცა აქ

ყველაზე მთავარი თავად გარდაცვლილის ამეტყველებაა, რომელიც მშობლიური მხარის მოხილვის წყურვილს სულის სხეულთან გაყრის შემდგომ იკლავს. აღნიშნული მოთხრობა განხილული აქვს გიორგი ხორბალაძეს წერილში „ადამიანური განცდები ომისა და ოკუპაციის პირობებში, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ერთიან კონტექსტში გააზრებით“. იგი გამოკვეთს გარდაცვლილი კაცის მეგობრების წასვლას რამდენიმე მუჭა მშობლიური სოფლის მიწის ჩამოსატანად და ამბობს, რომ ეს ადამიანები არა მხოლოდ ამ ქვეყნიდან გასული ადამიანის უკანასკნელი სურვილის შესასრულებლად, არამედ თავიანთ გულში არსებული მშობლიური სანახების მონატრებითაც მიდიან სახიფათო ტერიტორიაზე. ეს ნათლად გამოვლინდება სოფლის სასაფლაოზე, როდესაცვანო ვეღარ იკავებს სულში დაგუბებულ სევდას, ხელისგულებით ეხება მშობლიურ მიწას და ცრემლად დაიღვრება. პარადოქსულია, მაგრამ მოთხრობაში შთამბეჭდავად არის დახატული გარდაცვლილის ბედნიერების შეგრძნებასაც, რომელიც აპირებს ორმოცი დღე ზეციურ საუფლოში საბოლოო გადასვლამდე მშობლიური მხარეში გაატაროს. „ოკუპაცია აღარ არის ბარიერი სულისათვის, გარდაცვლილი პერსონაჟი კი, რომლის სახელიც კი არ ხდება საცნაური მოთხრობიდან, სწორედ სანატრელ მამაპაპისეულ კარ-მიდამოში განიცდის ნეტარებას: ,,ყველაფერი მიყვარს, ერთი პაწაწკინტელა კენჭიც რო გდია, ისიც კი მიყვარს, ორმოცი დღე-წამი გავძღები ყველაფრის ცქერით” - ეს სულის მონოლოგია; სწორედ ამ მონოლოგით მიგვანიშნებს მწერალი, რომ სამშობლოს სიყვარული, არა წუთიერი, არა წამიერი, არამედ მარადიული ფენომენია“ (ხორბალაძე, 2017: 170).

რას შეიძლება გრძნობდეს ადამიანი, მებრძოლი, რომელიც სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე დაეცა და მხოლოდ უცნობი ჯარისკაცის სახელით დარჩა ყველას მეხსიერებაში? მოთხრობაში „უცნობი ჯარისკაცი 00098076“ მწერალი სწორედ ამ კითხვას პასუხობს და მკითხველისათვის თვალსაჩინოს ხდის ისტორიაში უსახელო გმირის წოდებით შესული ადამიანის გულისნადებს. აქ უცნობი ჯარისკაცი გვიმხელს თავის ნამდვილ გვარ-სახელს. იგი ვანო ბაიდაურია. სულეთში გადასული ახალგაზრდა კაცი დეტალურად აღწერს ომში წასვლის მომენტს, მამასთან უკანასკნელ სატელეფონო საუბარს, ბრძოლის წინა ხაზიდან რომ დაუკავშირდა. დის ნაჩუქარი წმინდა გიორგის ხატი აძლევდა ძალას ქართველ მებრძოლს, რომელსაც გულის ჯიბით დაატარებდა. საომარ ვითარებაში მყოფმა გაიაზრა, თუ როგორ მოვიდა ქართველი კაცი დღემდე.

თითქოს წინაპრების აჩრდილები ამხნევებდნენ მას და მის თანამებრძოლებს, რომლებიც სამშობლოს სიყვარულით აღსავსენი გმირულად იბრძოდნენ. ვანო ბაიდაურს ახსენდება, რომ ქართველები ომის წინ ყოველთვის ეზიარებოდნენ და იქ სიკვდილის ან გამარჯვებისთვის მიდიოდნენ. ვანოსა და მის მეგობრებს ზეთი აქვთ ნაცხები ბრძოლის წინა საღამოს, საღვთო მადლით არიან გაძლიერებულნი საომრად. დაბომბვის შედეგად გახდნენ ისინი სულეთის მკვიდრნი. ვანოს ყოველთვის აინტერესებდა სიკვდილის რაობა და ახლა შეძლო ბავშვური ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება. მან ისიც ნახა, როგორ ლოცულობდა დედამისი ღვთისმშობლის ხატის წინაშე...

ნაწარმოებში განსაკუთრებული ემოციურობა და ტრადიციულ ღირებულებათა ამაღლებულობა წარმოჩნდება. ძნელია ჩაწვდე გარდაცვლილი ადამიანის ფიქრებს. თუმცა გიორგი სოსიაშვილი საოცარი სიცხადით გვაცნობს უცნობი ჯარისკაცის სათქმელს. აღსანიშნავია, რომ მწერალი აქ წინა პლანზე აყენებს იმ გმირულ იდეალებს, რომელთა ერთგულებით ემსახურნენ სამშობლოს ჩვენი წინაპრები. ქრისტიანული მრწამსი და სამშობლოსთვის თავდადება - ეს ის ღირსებებია, რომლებიც საქართველოს სადარაჯოზე წარსულში მრავალ მამულიშვილს ახასიათებდა და დღესაც არსებობენ მათი მატარებელი ახალგაზრდები, რომლებსაც შესწევთ ძალა, თავიანთი თავდადებით დამსახურებულად დაიკავონ ადგილი გვირგვინოსან წინაპართა გვერდით.

უცნობი ჯარისკაცის სახის დახატვით ავტორი შეგვახესებნებს იმ ეროვნულ იდეალებს, რომელთა ერთგულებამ დღემდე მოიყვანა საქართველო - ღმერთის რწმენა და სიყვარული, სამშობლოს ღირსეული დაცვა და სამსახური. ასეთია მწერლის რწმენა. მისთვის ისიც სარწმუნოა, რომ დღესაც არსებობენ გმირები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით საერთო ეროვნულ საგანძურში დიდ საფასეს დებენ, რომელიც საკმაო ხანს ასაზრდოებს მომავალ თაობებს. აღნიშნული მოთხრობის მთავარი სათქმელი ისაა, რომ, თუმცა ვანო ბაიდაური ცოცხლებს აღარ ეკუთვნის, ქართველი ერი არ დამარცხებულა, და ქედი არ მოუხრია, ქართული დროშა არ დაშვებულა. „ასეთია ქართველი კაცის ბედისწერა, ასე დაგვაბედა გამჩენმა. ამაზე უკეთეს სიკვდილს ვერც ვინატრებდი. საცოდავი მაშინ ხარ, როცა სხვა მიზეზით კვდები, თორემ, როცა სამშობლოს შესწირავ სიცოცხლეს, როცა მართალი ცრემლებით დაგიტირებენ, ამაზე დიდი ჯილდო არაფერია“ (სოსიაშვილი, 2016: 60).

ალბათ ყველასთვის, მაგრამ ქართველი ადამიანისათვის განსაკუთრებით აუტანელია საკუთარი კერისა და ახლობელ-წინაპართა საფლავების მიტოვება, მით უმეტეს - იძულებით. ეს კარაგდ ესმის მწერალს და გულთან ახლოს მიაქვს ყველა იმ დევნილის ტკივილი, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს ომმა ფუძეს მოაშორა. მოთხრობები „ორნი“ და „ნასოფლარის ჭირისუფალი“ სწორედ იმ ადამიანთა ხვედრს ასახავს, რომლებსაც განსაკუთრებით სტკივათ დევნილობა, უცხოობაში ყოფნა. ისინი შესისხლხორცებულნი არიან თავიანთ მშობლიურ სამკვიდროს და მის გარეშე სიცოცხლე ეძნელებათ. მოხუცი სოლოსთვის, რომელმაც მთელი ცხოვრება პატიოსან, მუხლჩაუხრელ შრომაში გაატარა, წარმოუდგენელია სხვაგარი ყოფა, ჩვეული საქმიანობის დავიწყება, შეგუება იმასთან, რომ მისი სოფელი ვიღაც უსულგულოებმა გადაწვეს, გაძარცვეს, ხალხის საქონელი გაირეკეს და ქართველების კუთვნილი მიწაც მიისაკუთრეს. „სოლო იჯდა და მირკანის ძალამიცემულ მზეს ეფიცხებოდა. შორს თოვლით მოსილი მთები მოჩანდა, იმ მთების ძირში იყო სოლოს სოფელი, იქ ჩამოდიოდა ლიახვი და მთის წვერზე ისევ იდგა სოლოს პაპის პაპის დროინდელი ციხე, ათასი ჯურის გადამთიელი რო შეკვდომია მის აღებას.

ოღონდ ერთხელ გადაეხედა, ერთხელ დაენახა მშობლიური მხარე, თავისი სახლ-კარი და თუნდაც იმ წუთას მომკვდარიყო. აქაც საქართველო იყო, აქაც ქართულ მიწაზე ედა ფეხი, მაგრამ იქ სულ სხვა იყო. იქ იმ ადგილზე იყო მიბმული უხილავი ძაფით, რომლითაც ყოველი ადამიანია დაკავშირებული ადგილის დედასთან“ (სოსიაშვილი, 2016: 81). საბრალო მოხუცისათვის იმდენად აუტანელი გახდა ახალი მიუჩვეველი სამყოფელი, რომ გადაწყვიტა ღამით გაპარულიყო მონატრებულ სოფელში. გათენებამდე მიაღწია სანატრელ ადგილს. აისშეპარულ ბინდში გაარჩია მშობლიური მხარის ძველთაძველი ციხე-სიმაგრე და გული აუდუღდა. შეშინებულმა და შეძრწუნებულმა შეათვალიერა გადამწვარი სახლები. ირგვლივ სულდგმული არ ჭაჭანებდა. თავისი სახლისგან მხოლოდ რამდენიმე კედელიღა დახვდა. დანგრევას გადარჩენილ ბოსელში თავისი ნაცარა ხარის თოკი იპოვა... სასოწარკვეთილმა ბერიკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა... და როგორც არ უნდა ტრაგიკული იყოს თვითმკვლელობის ეს პასაჟი, მაინც ვფიქრობთ, რომ მისი დანიშნულება მხოლოდ ტრაგიკული სურათის შექმნა არ არის მოთხრობაში, რადგან ტრაგიზმი ამ ფინალური აკორდის გარეშეც არ აკლია ნაწარმოებს. მაშინ რა არის აქ

მნიშვნელოვანი? ის ხომ არა, რომ ისტორიასთან გაბმული ძაფებით, ერთი პიროვნების შეუგუებლობით მწარე რეალობასთან, ავტორის პოზიცია ხდება საცნაური, რომ ქართველი კაცი არ დათმობს „პაპის პაპის დროინდელ ციხეს ათასი ჯურის გადამთიელი რო შეკვდომია“ და უცილობლად მოიკრებს ძალას, რათა შეუგუებლობა თვითმკვლელობით კი არა მოქმედებით, ერთად დგომით და ერთიანი პოზიციით გამოხატოს. მწერალი ვერ იქნებოდა ომის პროპაგანდისტი და სწორედ ამიტომ შეუგუებლობის საჩვენებლად ასეთი ფორმა აირჩია, თუმცა ეს თვითმკვლელობაც ამ შემთხვევაში სამშობლოს შეკვდომის ალეგორიული ჩვენებაა ჩვენი აზრით.

ბაადურისთვისაც („ორნი“) გაუსაძლისი ტკივილია ცხოვრების მანძილზე ტანჯვა-წვალებით შეკოწიწებული ქონების დაკარგვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა შვილები ჰყავს სარჩენი. დარდით სავსე კაცი სიზმარშიც კი ფიქრებით თავის სამკვიდროშია. ადვილი არაა ცარიელი ხელებით ახალი ცხოვრების დაწყება. იგი თავის თანასოფლელ დათოსთან ერთად გადაწყვეტს მშობლიურ სოფელში წასვლას, რომელსაც ოსები აკონტროლებენ. დათოს ახლგარდაცვლილი დედის საფლავზე სურს მისვლა, ორივეს ერთად კი მონატრებული სანახების მოხილვა სურს. თავიანთი მიზნის მისაღწევად არ უშინდებიან სიკვდილის საფრთხეს. ომმა მათ ბუდეები მოუშალა და მიუხედავად იმისა, რომ მტკივნეული იქნება ნასახლარების ნახვა, მაინც სურთ „მოათვალმზერონ“ საკუთარი ეზო-კარი. მშობლიური მიწის მონახულება ძვირად დაუჯდებათ დევნილებს და ოსების ტყვიებს ცოცხლები ძლივს გადაურჩებიან.

გიორგი სოსიაშვილის ქართულ-რუსული კონფლიქტის თემაზე შექმნილ მოთხრობებში მატერიალური ნივთებიც ომის ტრაგიზმზე მეტყველებენ. ამის დასტურია მოთხრობა „მარანი“, რომელშიც გადმოცემულია ქართველი ხალხის მიერ აგვისტოს სისხლიან დღეებში მიტოვებული სახლ-კარის გაძარცვა ოსების მიერ. ისინი ყველაფერს ეზიდებიან წლების მანძილზე ნაშენები და მოვლილი საცხოვრებლებიდან, დაბეჩავებული, საკუთარ კერას მოწყვეტილი და სადღაც ლტოლვილის სტატუსით შეკედლებული ადამიანის ქონებას ალაფობენ და უხარიათ უკანონოდ ნაშოვნი ნივთებით გამდიდრება. განსაკუთრებულად დრამატულია მომენტი, როდესაც პროტაგონისტი იმ ნასახლარის მარნის ნანგრევებში აღმოჩნდება, სადაც წლების წინ ახლობელ ადამიანებთან ერთად ლხინის სუფრას იზიარებდა.მისთვის შემაძრწუნებელია იმის გააზრება, რომ იმ

კარ-მიდამოზე, სადაც ერთ დროს მასპინძელმა საკუთარი ოფლით დაწურულ-დაყენებული ღვინო შეასვა, სადაც არაერთი გულინი სადღეგრძელო წარმოთქვა, ახლა თავის მეზობლებთან ერთად საძარცვავად არის მისული. ამ ნაწარმოებით მკითხველის თვალწინ ის ტრაგიკული სურათები ცოცხლდება, რომლებიც სამწუხარო რეალობაა საქართველოს უახლეს ისტორიაში. ორ მოძმე ერს შორის ხელოვნირად ჩამოგდებული მტრობის რეზულტატი ძალზე მძიმეა. არაერთი ქართული სოფელი აღმოჩნდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგად მოთხრობაში აღწერილ მდგომარეობაში. ქართველი ხალხის მიერ შრომით წლების მანზილზე ნაშენებ-ნაგროვები ქონება დაიწვა, განადგურდა, გაიძარცვა;ოდესღაც მოფუსფუსე სოფელში სიცოცხლის ნიშანწყალიც არ დარჩა.

ომის შემდგომი ვითარების სურათი მძიმეა და თითქოს სასოწარმკვეთი, თუმცა მწერალს გარკვეული იმედები ესახება. გიორგი სოსიაშვილის ოპტმიზმითაა სავსე „მძახლები“. როგორც მურმან თვდიშვილი წერს: „ზოგად ფრაზას - „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო“, ავტორი კონკრეტული და ახალი მხატვრული სინამდვილის შექმნით გვიდასტურებს: ერთ იქეთელ გოგონას აქეთელი ბიჭი შეუყვარდება. თუმც კარგად დარწყმულია რუსული მავთულხლართები ქართულ-ოსურ სამყაროებს შორის, მაგრამ გოგო ისე მარჯვედ და გერგილიანად გამოძვრება მათში, როგორც „ალადასტურით სავსე ჭიქაში - მზის სხივი“. გოგონას მამამთილი საკუთარი შვილივით იღებს, ითვისებს ეროვნებით ოს ქალს რძლად, ზრუნავს მასზე და სამანს იქით დარჩენილ მძახლებს ნუგეშს არ აკლებს. სწორედ ამგვარი შემთხვევები გამოიწვევს ორ მოძმე ერს შორის ურთიერთობების დათბობას, „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენას.

ორ მოძმე ერს შორის ძალისძალად ჩატეხილი ხიდის პრობლემაა დასახული მოთხრობაში „ბაღები“. აგვისტოს ომმა ყველა საშინელებასთან ერთად მეზობელ ხალხებს შორის მიჯნა გაავლო, რომელზე გადაბიჯებაც ძვირად შეიძლება დაუჯდეს ორივე მხარის წარმომადგენელს. „ერთმანეთი დავკარგეთ. ამაზე მეტი რა უნდა დაკარგოს კაცმა. სახლები დაგვიწვესო, ქონება გაგვიზიდესო... ძნელია, როგორ არ დაეთანხმები, მაგრამ ერთმანეთი რო დავკარგეთ, ის ნაკლებად გვახსენდება“(სოსიაშვილი, 2016: 253). გიორგი ხორბალაძე აღნიშნულ მოთხრობაში ხედავს მწერლის მიერ დასახულ გზას, რომელიც ქართველ და ოს ხალხს შორის ურთიერთობის გამოსწორებისკენ მიდის. ესაა უნაგარო სიყვარული და მეგობრობა ოს და ქართველ ეთნოსს შორის, რომელიც, დიდი ჩამხშობი ძალის

ზემოქმედების მიუხედავად, ალაგ-ალაგ მაინც იჩენს თავს ისე, როგორც ოსი გაბისა და ქართველი ნიკოს მეგობრობის შემთხვევაში, რომლებიც მავთულხლართის გადაადგილებაზე დამოკიდებულ ერთმანეთის ბაღებს საკუთარივით უვლიან. მოწეული ნაყოფის რეალიზაციის შედეგად მიღებულ თანხას უკლებლივ მიუთვლიან ერთმანეთს, იმის მიხედვით, თუ მავთულხლართის რომელ მხარეს დარჩა მოსავალი. მათი ურთიერთობა ნამდვილია, გულწრფელია, მათი კავშირიც ალადასტურით სავსე ჭიქაში გამძვრალი მზის სხივია, რომელსაც მომხდურის მანქანება ვერ შეაკავებს და სინათლეს ვერ ჩაუქრობს.

„გლეხები მიწას ამუშავებენ, მუშები ქალაქს აშენებენ და ამდიდრებენ, მოაზროვნენი აზროვნებენ, წარმოება ქმნის გასაოცარ საგნებს, გენიოსები ლაპარაკობენ სასწაულებს და ყოველივე იღუპება საშინელ საერთაშორისო გამოფენაზე, რომელსაც ბრძოლის ველი ეწოდება, (ჰიუგო, 2015: 311)“- ამობს ვიქტორ ჰიუგო, რაც მუდმივად ცალსახაა. ომი გამანადგურებელი ძალაა, რომელიც სპობს იმ ყოველივეს რაც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა, ის დიდ ტკივილს აყენებს ხალხს. ომგამოვლილი ადამიანი პიროვნულად ისეთი ვეღარასოდეს იქნება, როგორიც ომამდე იყო, თუნდაც ფიზიკურად უვნებელი გადარჩეს. ტკივილი, რომელსაც ადამიანი გადაიტანს ომში ახლობლების დაკარგვით, მშობლიური საცხოვრელის იძულებით დატოვებით, თანამემამულეთა საერთო ტრაგედიის განცდით, სამუდამო იარას ტოვებს გულში. შვიდი წლის ნატა ქართველიშვილს და მის ძმას რეზოს („წერილი კაცობრიობას“) დაუამებელ ტკივილად ექნებათ 2008 წლის აგვისტოს ომი იმ სხვა ბავშვების მსგავსად, რომლებმაც მშობლები დაკარგეს ზაფხულის მზიან დღეებში, მათ ბავშვობას ვეღარავინ დაუბრუნებს, პატარების სულიერ იარას ვერავითარი მატერიალური ნივთები ვერ გააქრობს. შრომას მიჩვეული გლეხკაცის ხელები ვერ იპოვის მოსვენებას, ვერ დაიღლება „მთავრობის აშენებულ სახლის წინ (სოსიაშვილი, 2016: 183)“ ციცქნა მიწის ნაგლეჯზე ფუსფუსით და ყოველთვის ექნება სურვილი ქურდივით შეიპაროს საკუთარ სამკვიდროში, რათა გული იჯეროს თავისი ნაფერები ვაზისა და ხეხილის სიყვარულით და ამირანივით სამკვიდრო მამულიდან „მოპარული“ ყურძნით მოამზადოს ზედაშე („ამირანის ზედაშე“).

დასკვნა

ამრიგად, ჩვენ მიმოვიხილეთ ქართულ-რუსული კონფლიქტის ლიტერატურაში გამოხატვა ერთი მწერლის - გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაზე დაყრდნობით; ვეცადეთ ამოგვეკითხა მწერლის მიერ შემოთავაზებული ქვეტექსტები თუ კონტექსტები და შეგვექმნა მოცულობითი ნაშრომი ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

რაში მდგომარეობს მწერლისა და მისი ნაწარმოების მიერ ერისათვის სამსახურის გაწევა? ადამიანი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ვითარდება, მისი არსება მუდმივ მოძრაობაშია. იცვლება არა მხოლოდ მისი ვიზუალი, არამედ - პიროვნების შინაგანი სამყარო. სხეული, დაბადებიდან გარდაცვალებამდე ბუნების კანონზომიერებებს ემორჩილება, რაც შეეხება სულის ფორმირების პროცესს, ეს თავად ადამიანზეა დამოკიდებული, თუ რა მიმართულებით განავითარებს თავის შინაგან სამყაროს; იგი თავად ირჩევს ცხოვრების გზას. ჩვენ, ადამიანები, როდესაც რაიმეს ვაკეთებთ, პირადი ინტერესებიდან ამოვდივართ, მაგრამ, ამავე დროს გასათვალისწინებელია, რამდენად „ჩაეტევიან“ სხვა ადამიანები ჩვენს მიზნებსა და მსოფლშეგრძნებაში. „ლიტერატურა... თავდაპირველად სოციალური საქმიანობაა, ხოლო მწერალი - პირუთვნელი და ბეჯითი მოსამახურეა ერისა“ (ჯავახიშვილი, 1980: 48). ადამიანი სოციალური არსებაა და ცხოვრება მას არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვათა სამსახურშიც აყენებს. მაშასადამე მწერლის მისიაა თქვას ისეთი სიტყვა, რომელსაც მრავალი ადრესატი ეყოლება, და რომლის მიზანიც თავისი ერის მომავლის შენებაში დადებული კიდევ ერთი აგური იქნება.

აღნიშნული ნაშრომით ჩვენ შევეცადეთ მიმოგვეხილა გიორგი სოსიაშვილის მიერ ლიტერატურაში ასახული 2008 წლის აგვისტოს ომის თემა. როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა მწერალი თავადაა კონფლიქტური ზონის მკვიდრი და, შესაბამისად, ძალზე საინტერესო და ვფიქრობთ, უფრო მოცულობითია მის მიერ მხატვრულ ნარატივში აღბეჭდილი საქართველოს უახლესი ისტორიის ტრაგიკული მოვლენები. თემა აქტუალურია და მნიშვნელოვანი იმდენად, რამდენადაც საქართველოს კუთვნილ ტერიტორიაზე კვლავაა მესამე ძალის მიერ გავლებული ეკლიანი სამანი, ჯერ ისევ დასაძლევია ორ მოძმე ერს შორის ხელოვნურად შექმნილი ბარიერი. ლიტერატურასა და კულტურას ამ საქმეში დიდი როლის შესრულება შეუძლია. ორივე მხარის ტკივილის სამზეოზე გამოტანასა დ მხატვრულად ნათქვამ მართალ სიტყვას ვფიქრობთ ყინულის

დაძვრა ხელეწიფება. აღსანიშნავია, რომ მწერალი გახლავთ მკვლევარი ისტორიკოსი და აქედან გამომდინარე საინტერესოა მის მიერ მხატვრულად აღნუსხული ომის ტრაგუკული ქრონიკები და მისი თვალით დანახული თანამედროვე პრობლემა ზოგად ისტორიულ ჭრილში.

„დიდი სიყვარულის ამონიშნება ხომ მშობლის, სამშობლოს გრძნობით იწყება“ (გოთუა, 1980: 302). სწორედ სამშობლოს სიყვარული მსჭვალავს გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებას. ომის თემა, ბატალური სცენები, ტრაგიზმით აღსავსე ეპიზოდები, სულის სიღრმემდე შემძვრელი მხატვრული სახეები. ეს ყოველივე გვხვდება თნამედროვე ქართველი მწერლის ნააზრევში. მისთვის ძალზე დიდია სულიერი, ეროვნული და ზნეობრივი იდეალები და მათ თავისი ნაწარმოებებიდან შეგვაგონებს. გიორგი სოსიაშვილი იმ დიდი მწერლების შემოქმედებით გზას აგრძელებს, რომლებმაც თავიანთი ტექსტებით აახმიანეს ერის გამომაფხიზლებელი ზარი. მსგავსი ნაწარმოებების დიდ ნაკლებობას განიცდის დღეს თანამედროვე ქართული მწერლობა, რომელიც ადგილს უთმობს ძირითადად „მომეტებული ყოფითი რეალობის აღწერას, რასაც უმეტეს წილად შიშველ ნატურალიზმამდე მივყავართ“ (გელიტაშვილი, 2016: 77). გიორგი სოსიაშვილი იმ აბსტრაქტულ ხედვაზეც უარს ამბობს, რომელიც თანამედროვე მწერლობის წარმომადგენლებისათვის ესედენ სასურველია და, „რაც გულისხმობს მშობლიური ადგილებისა და ეროვნული სატკივარის იგნორირებას. გიორგი სოსიაშვილი... რელობის მხატვარია“ (სიგუა, 2016: 4).

„ჩვენს ცხოვრებაში არის ისეთი ძლიერი მომენტები, რომელთა სიმძაფრე სულიერი ცხოვრების მორევის ზედაპირზე ატივტივებულ გონების ქსელს აპობს და სულის სიღრმიდან ჩვენს პირდაპირ, უშუამავლო განცდათა და შეფასებათ ათავისუფლებს“ (დიმიტრი უზნაძე, 9). გიორგი სოსიაშვილის თხზულებები სწორედ გულის სიღრმიდან წამოსული ფრაზებითაა სავსე. ავტორი გულის თვალებით უყურებს სამყაროს და გულისავე ხმით ამოთქვამს ომით გამოწვეულ განცდებს თავად და თავის მშობელ ხალხს რომ განუცდია. მის სიტყვაში ყველას ტკივილი ჩაეტია, მოხუცსაც და ბავშვსაც ათქმევინა გულის ნადები, ბრძოლის ველზე დაღუპული გმირების სულის მოძრაობასაც ჩასწვდომია და უკვე საფლავში მყოფი ადამიანების აზრებიც ამოუკითხავს. არავინ დატოვა

ყურდღების გარეშე. ერთგულ ოთხფეხა მეგობრებსაც „მისცა უფლება“ სიტყვაში გაეცოცხლებინათ თვალებში მოწოლილი სევდა.

აღსანიშნავია მწერლის დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი. იგი გემოვნებით არჩევს ჩვენს ლექსიკაში დამარაგებულ მადლიან ქართულ სიტყვებს და ისე ასხამს ხორცს სათქმელს; ისევე ფაქიზად ეპყრობა ყოველ სტრიქონს, როგორც ქართლელი გლეხი - თავის სათაყვანებელი „ალადასტურის“, „ჩინურისა“ თუ „ლომიაურის“ ვაზებს.

„ხმალს მოიქნევ და გასჭრის!.. მაგრამ სტრიქონს ჯერ მიგნებული სიტყვა უნდა, აზრთან და გრძნობასთან შესადაგება, მერმე გულით მოქნევა... ახლა კიდევ - გასჭრის თუ არა?!“ (გოთუა, 1981: 314) მაშასადამე მწერლის პასუხისმგებლობა და შრომა დიდია, მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს, რათა სათქმელს ხორცი შეასხას, მზის სინათლე აჩვენოს და თავის ნარატივს იმაზე მეტი ათქმევინოს, ვიდრე ერთი შეხედვით იკითხება. გიორგი სოსიაშვილის ომის მოთხრობები ვფიქრობთ სავსეა „მიგნებული“ სიტყვევებით, აზრთა და გრძნობათა ბრძმედშია გამოტარებული და „გულით მოქნეული“, მჭრელობა-სიბასრეს რაც შეეხება, ესეც ძალუმად იგრძნობა. თუმცა სიტყვის „მჭრელობამ“ რომ ნაყოფი გამოიღოს, ეს მხოლოდ ავტორზე არაა დამოკიდებული; საჭიროა მკითხველმაც „გააჭრევინოს“ ოსტატურად ნათქვამ მართალ სიტყვას - კარგ მთქმელს კარგი გამგონიც უნდაო. „გამორთული მთვარის“ ადრესატი ქართველი და ოსი ხალხია და ორივე მათგანზეა დამოკიდებული მწერლის ნათქვამის გაგება და ცხოვრებაში გადმოტანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის თემატიკა მეტად მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურის ისტორიის კონტექსტში. ბუნებრივია, ჩვენ ვერ გვექნება პრეტენზია, რომ საკითხი სრულყოფილად და ამომწურავად შევისწავლოთ, თუმცა, ვფიქრობთ, გარკვეული წვლილი უთუოდ შევიტანეთ ამ მეტად პრობლემატური საკითხისა და საინტერესო მწერლის შემოქმედების კვლევის საქმეში, რომელიც უთუოდ უნდა გაგრძელდეს სამომავლოდაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სოსიაშვილი გიორგი, „გამორთული მთვარე“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2016;
2. სოსიაშვილი გიორგი, „მავთულხლართი“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2016;
3. სოსიაშვილი გიორგი, „მზის გადაღმა“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012;
4. სოსიაშვილი გიორგი, ალიონი აფხაზეთის ცაზე, გამომცემლობა „ქართლი“, 2006 წ.
5. სოსიაშვილი გიორგი, თეთრი ზამთრის სიზმრები, გამომცემლობა „დილა“, 2005 წ.
6. სოსიაშვილი გიორგი, ახლოა მონასტრამდე, თბილისი, 2006 წ.
7. ქიქოძე გერონტი, წერილები ესეები ნარკვევები, „მერანი“, თბილისი - 1985;
8. გოთუა ლევან, თხუზლებათა კრებული ექვს ტომად, ტ. V, გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1981;
9. ჯავახიშვილი მიხეილ, წერილები, თხზულებანი, ტ. VI, “საბჭოთა საქართველო“, თბილისი - 1981;
10. ხორბალაძე გიორგი, მავთულხლართის ორი მხარე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (გიორგი სოსიაშვილის ორი მოთხრობის მიხედვით), ჟურნალი„გულანი“, №17/2015, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხე, საქართველო.
11. ხორბალაძე გიორგი, ადამიანური განცდები ომისა და ოკუპაციის პირობებში, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ერთიან კონტექსტში გააზრებით (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, პირველი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: ,,ისტორია, ხელოვნება, ლიტერატურა და კულტურა შავი ზღვის რეგიონსა და სამხრეთ კავკასიაში” , თბილისი, 2017 წ.;
12. სიბრძნის ენციკლოპედია, შემდგენელი გივი კალანდაძე, გამომცემლობა „პალიტრა L“, 2015;
13. მიშველაძე რევაზ, სჯანი კულტურასა და პოლიტიკაზე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017;
14. ცერცვაძე მარინე, ახალი ადამიანი, გამომცემლობა„საარი“,2012 წ.

15. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №37, 2016წ.;

16. მწერლის გაზეთი, №5, 2016;

17. მწერლის გაზეთი, №1, 2017;

18. მწერლის გაზეთი, №5, 2017;

19. ჟურნალი „ცისკარი“, №5, 2016;

20. დიმიტრი უზნაძე, „ომის ფილოსოფია“ – http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2015/04/dimitri-uznadze-omi.pdf

21. ჭამპურიძე ნელი, გორის მერვე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, „იდეოლოგიურ წნეხში მოქცეული სოფლის ცხოვრების მხატვრული გააზრება ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში“, 2014 წ.;